პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (9519) | კვირა, 1 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ (1-ლი გვერდი).

თბილისის საუკეთესო მშენებელთა ტრიბუნა — სამუშაოზეა ვალერიან ჭელიძის ბრიგადა. დახმარების ერთი მაგალითი (მე-2 გვერდი).

პარტიულ თემაზე — რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).

სრულიად საქართველოს [illegible] დღეობა «ტყის მეგობრის» საბჭოში (მე-2 გვერდი).

სხარტულა — სამკურნალო მკურნალნი (მე-3 გვერდი).

თ. გოგოლაძე — დეპუტატი (მე-3 გვერდი).

გაზაფხული დადგა, ტრაქტორები შეუკეთებელია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდები).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს საბჭოთა ხალხი წელს აღნიშნავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას.

სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებაში, სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობაში უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა ქალები. ლენინ — სტალინის პარტიის იდეებით შთაგონებული საბჭოთა ქვეყნის ქალები მთელ ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებში.

მუშა ქალები გვიჩვენებენ კომუნისტური შეგნებულობის ნიმუშებს შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, მოწინავე ტექნიკის დაუფლებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. გლეხი ქალები აქტიურად იბრძვიან უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად, მეცხოველეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ქალები ქმედით მონაწილეობას იღებენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. სსრ კავშირის სამეცნიერო, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობს ორნახევარ მილიონზე მეტი ქალი. დამთავრებული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ქალების რაოდენობა ამჟამად 900 ათასს აღემატება. ერთ მილიონ ორასი ათასზე მეტი ქალი სწავლობს უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში.

დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოთა ქალები სახალხო განათლების ორგანოებში. მილიონზე მეტი მასწავლებელი ქალი თავის ძალასა და ცოდნას ახმარს მაღალი იდეურობის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. ერთ მილიონზე მეტი ქალი, მათ შორის 220 ათასი ექიმი ქალი, შრომობს პოლიკლინიკებში, საავადმყოფოებში, ამბულატორიებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

საბჭოთა კავშირის ქალებს შორის ზევრია მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის პატივისცემით სარგებლობენ. საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებული აქვს 2.334 ქალს. 800 ათასზე მეტი ქალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. თვალსაჩინო ნაშრომებისათვის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, გამომგონებლობის დარგში, საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებისათვის 741 ქალს მიენიჭა სტალინური პრემიები.

ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა სახელმწიფოს მართვაში: 280 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 2.209 ქალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატია, ნახევარმილიონზე მეტი ქალი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა შორის 40 პროცენტზე მეტი ქალია.

ჩვენს ქვეყანაში ქალი-დედა გარემოსილია მუდმივი ზრუნვით. მარტო 1952 წელს საბჭოთა სახელმწიფომ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მისცა და ახალშობილთათვის გაიღო 6 მილიარდ 355 მილიონი მანეთი. „გმირი დედის" საპატიო წოდება მიენიჭა 38 ათასზე მეტ ქალს. „სახელოვანი დედის" ორდენით და „დედობის მედლით" დაჯილდოებულია 3 მილიონ 800 ათასზე მეტი ქალი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ ბავშვების ჯანმრთელობისა და აღზრდისათვის. პიონერთა ბანაკებისა და ბავშვთა სანატორიუმებისათვის ყოველწლიურად იხარჯება ასეული მილიონი მანეთი. წლითიწლობით ფართოვდება საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღებისა და ბავშვის სახლების ქსელი.

ჰბაძავენ რა საბჭოთა კავშირის ქალების მაგალითს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ახალმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამუდამოდ გაათავისუფლა ქალები, ისე როგორც ამ ქვეყნების ყველა მშრომელი, კაპიტალისტური ჩაგვრის, გალატაკების, უმუშევრობის საშინელებისაგან, დაუსახა კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი აღმავლობის პერსპექტივები.

სხვა პირობებში ეგებებიან ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალები. კაპიტალის ქვეყნებში ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტებს, მოსახლეობის გადასახადებს, უმატებენ სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასებს, კვეცავენ სამშვიდობო წარმოებას, იზრდება უმუშევრობა, ეცემა მშრომელთა რეალური ხელფასი. ამ უბედურებისა და გაჭირვების სიმძიმე განსაკუთრებული ძალით აწყდება თავს მშრომელ ქალებსა და ბავშვებს. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ქალები აძლიერებენ ბრძოლას თავიანთ საარსებო უფლებებისათვის, იბრძვიან ხელფასის გადიდებისათვის, შრომის სახელმწიფო დაცვისა და სოციალური დაზღვევის შემოღებისათვის, სახალხო განათლებისა და ბავშვთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ასიგნებათა გადიდებისათვის.

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მთელი მსოფლიოს მშრომელი ქალები აწყობენ მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგით. მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში დგება სულ ახალ-ახალი მილიონობით ქალი. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს 65 ქვეყნის 135 მილიონ ქალს. მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მსოფლიოს ქალები დაუცხრომლად ამხილებენ ომის გამჩაღებლებს, თანმიმდევრულ ბრძოლას ეწევიან მშვიდობისათვის, თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებებისათვის, ბავშვების სიცოცხლისა და მომავლისათვის.

კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალები სულ უფრო მტკიცედ იბრძვიან თავიანთი სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა ულლის წინააღმდეგ. პროგრესული ქალები მოითხოვენ სამხარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას კორეაში, ვიეტნამსა და მალაიაში, ატომური იარაღის უთუო აკრძალვას, შეიარაღების შემცირებას, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის ავანგარდში იბრძვიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები. ასრულებენ რა ლენინისა და სტალინის მითითებებს, საბჭოთა ქალები კიდევ უფრო აფართოებენ და განამტკიცებენ ინტერნაციონალურ კავშირს ყველა ქვეყნის ქალებთან, ხელს უწყობენ ომის საწინააღმდეგო მძლავრი დემოკრატიული ფრონტის განმტკიცებას, გულმოდგინედ ამხილებენ იმპერიალისტთა ხრიკებს, აქტიურად იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის. მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს საბჭოთა ქალები მიაჩნიათ თავიანთ ერთგულ მეგობრებად, მშვიდობისათვის, ხალხთა ნათელი მომავლისათვის აქტიურ მებრძოლებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებში, ი. ბ. სტალინის ახალ შესანიშნავ შრომებში განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება მოითხოვს ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლას, ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრას.

საბჭოთა კავშირის წარმატებანი მძვინვარე გაბოროტებასა და სიძულვილს იწვევენ იმპერიალისტურ ბანაკში. აგრესიული კაპიტალისტური სახელმწიფოები, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, ცდილობენ რა შეარყიონ საბჭოთა კავშირის ძალა და ძლიერება, გზავნიდნენ და კვლავაც შეეცდებიან შემოგზავნონ ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები, მკვლელები, დაუწყებენ ძებნას საბჭოთა ხალხის ფარულ მტრებს, რათა ისინი თავიანთი საზიზღარი და ვერაგული მიზნებისათვის გამოიყენონ. ამ პირობებში ყველა მშრომელს მოეთხოვება ყოველმხრივ გააძლიეროს პოლიტიკური სიფხიზლე, აღმოფხვრას დოყლაპიობა და უდარდელობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი აღნიშნონ საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განმტკიცებისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალთა შემდგომი ჩაბმისათვის საბრძოლველად საბჭოთა ქალების მობილიზაციის ნიშნით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მუშა ქალებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და ოსტატებს კიდევ უფრო მტკიცედ და ენერგიულად იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ დანერგონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევანი, მხარი დაუჭირონ წარმოების ნოვატორთა პროგრესულ წამოწყებას, გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება და დაეხმარონ ჩამორჩენილებს ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს კოლმეურნე ქალებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალებს, სპეციალისტ ქალებს იბრძოლონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებისა და ამასთანავე მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში უხვად შეიქმნას სურსათი მოსახლეობისათვის და ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს მეცნიერებისა და კულტურის მუშაკ ქალებს განავითარონ მოწინავე საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, თავიანთი შემოქმედებითი ძალები და ნიჭი მოახმარონ სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ახალ აღმავლობას, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა მეცნიერულ მუშაობაში და ამით დახმარება გაუწიონ საბჭოთა მეცნიერებას შეასრულოს თავისი მისია — პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიო მეცნიერებაში.

ითვალისწინებს რა ქალთა სულ უფრო მზარდ როლს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს უზრუნველყონ ქალთა შემდგომი ჩაბმა საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, გამოიჩინონ ყოველმხრივი ზრუნვა მათი კულტურულ-ტექნიკური დონის, კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებისათვის, აღზარდონ ისინი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების, ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებისათვის ზრუნვის სულისკვეთებით, მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს უფრო გაბედულად დააწინაურონ ქალთა კადრები ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ სამუშაოზე და გაუწიონ მათ დახმარება პრაქტიკულ საქმიანობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს გამოიჩინონ მუდმივი მზრუნველობა მუშა, კოლმეურნე და მოსამსახურე ქალების შრომის პირობებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ დედას-ქალს შვილების აღზრდის საქმეში, უზრუნველყონ საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების, საზოგადოებრივი სასადილოების, სამრეცხაოების, სამკერვალო სახელოსნოებისა და ყოფაცხოვრებითი მომსახურების სხვა საწარმოთა ქსელის შემდგომი გაფართოება და მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება სსრ კავშირის ყველა მშრომელ ქალს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს და რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც იქნებიან დიადი მიზნის განხორციელებისათვის — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

1953 წლის 22 თებერვალს მოხდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

არჩეული არიან 3 საოლქო საბჭოს, 73 რაიონული საბჭოს, 32 საქალაქო საბჭოს, ქალაქ თბილისის 8 რაიონული საბჭოს, 1111 სასოფლო საბჭოს და 29 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ არჩევნების შედეგების შესახებ მიღებულ ცნობათა მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო:

	ამომრჩეველთა საერთო რიცხვი	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი: აბსოლუტური ციფრებით	კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი: პროცენტებით
საოლქო საბჭოებისა	1.899.758	1.899.700	99,99
რაიონული საბჭოებისა	1.531.403	1.531.353	99,99
საქალაქო საბჭოებისა	896.333	896.322	99,99
ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოებისა	433.400	433.394	99,99
სასოფლო და სადაბო საბჭოებისა	1.369.800	1.369.604	99,99

ამრიგად, თითქმის ყველა ამომრჩეველმა, მცირე გამონაკლისით, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიმცემ ამომრჩეველთა რიცხვი შეადგენს:

	კანდიდატებისათვის ხმის მიმცემთა რიცხვი	პროცენტი კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვთან
საოლქო საბჭოებისა	1.899.227	99,98
რაიონული საბჭოებისა	1.531.020	99,98
საქალაქო საბჭოებისა	895.978	99,96
ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოებისა	433.223	99,96
სასოფლო და სადაბო საბჭოებისა	1.369.301	99,98

იმ ბიულეტენების რიცხვი, რომლებშიც წაშლილია კანდიდატთა გვარები, ესე იგი დეპუტატთა კანდიდატების წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი შეადგენს: საოლქო საბჭოების არჩევნებში 473 ანუ 0,02 პროცენტს, რაიონული საბჭოებისა — 333 ანუ 0,02 პროცენტს, საქალაქო საბჭოებისა — 342 ანუ 0,04 პროცენტს, ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოებისა — 171 ანუ 0,04 პროცენტს, სასოფლო და სადაბო საბჭოებისა — 303 ანუ 0,02 პროცენტს.

არჩევნების დებულების 99 მუხლის საფუძველზე გაუქმებულად მიჩნეული ბიულეტენები აღმოჩნდა 2.

ამრიგად, კენჭისყრის შედეგები ცხადყოფენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

არჩევნები მოხდა ყველა საარჩევნო ოლქში.

სულ ყველა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატებად არჩეულია 29.420 კაცი. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია. დეპუტატთა რიცხვში არის 10.723 ქალი ანუ 36,4 პროცენტი, 14.337 საბჭოთა კავშირის კპ წევრი და წევრობის კანდიდატი ანუ 48,7 პროცენტი, 15.083 უპარტიო ანუ 51,3 პროცენტი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქ. თბილისის მილიციონერებისა და მეეზოვეების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ქ. თბილისში წესრიგის დამყარებისა და სისუფთავის დაცვის დარგში თავიანთი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

მილიციონერები:

1. ბარდაველიძე უშანგი პლატონის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი,
2. ბუღულაშვილი ივანე დიმიტრის-ძე — მილიციის უმცროსი სერჟანტი,
3. დიდებაშვილი მიხეილ პავლეს-ძე — მილიციის ზემდეგი,
4. ლიგური პეტრე ანისტრატეს-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი,
5. ოჯუხიანი გარიბ მიხეილის-ძე — მილიციის ზემდეგი,
6. პოპიაშვილი გიორგი გრიგოლის-ძე — მილიციის სერჟანტი,
7. სულიაური დავით იოსების-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი,
8. ჩერქეზიშვილი გიორგი მიხეილის-ძე — მილიციის უმცროსი სერჟანტი,
9. ცხადაძე ივანე სილიბისტროს-ძე — მილიციის ზემდეგი,
10. ხაზრელაშვილი იოსებ გიორგის-ძე — მილიციის ზემდეგი.

მეეზოვეები:

1. აგოიანი თეჯო ასლანის-ძე
2. ავაკიანი სოფიო ერმილეს ასული
3. ავაკოვი გენოს გრიგოლის-ძე
4. ამოევი მამედ ასანოს-ძე
5. ამოევი რეზო რომანის-ძე
6. არჩუაძე შაქრო ნინიას-ძე
7. აჯამოვი აზო ქიარიმის ასული
8. ბარსეგოვი აზო ხაჩატურის-ძე
9. განუსინა პარასკევა ანდრიას ასული
10. გევორქოვი მანუკ ტოროსის-ძე
11. გრიბკოვა ანტონინა არსენის ასული
12. დანელიანი ხოსრო მელიქის-ძე
13. დარაპინიანი არფენიკ სუკიასის ასული
14. დილოიანი სედრაკ ავეტისის-ძე
15. ეგიბაროვი მინას გრიგოლის-ძე
16. ენგოიანი ამაიაკ ხაჩატურის-ძე
17. იბრაგიმოვი მაჯიტ რაშიდის-ძე
18. კარაპეტიანი მიკირტიჩ ხაჩატურის-ძე
19. კასოევა ზალიხ იუსუფის ასული
20. კირაკოზოვი არფენიკ ეგიაზარის ასული
21. კირაკოსიანი აპიკ მეერის-ძე
22. კობაიძე ლევან დავითის-ძე
23. კრავჩენკო ეგორ ვლადიმერის-ძე
24. მაკაროვი ასლან არუთინის-ძე
25. მელქონიანი ანგინ არუთინის ასული
26. მხოიანი აზნივ გრიგოლის ასული
27. ნავრუზოვა ბეზარ დრბასის ასული
28. ნიკოღოსიანი არტუშ სარქისის-ძე
29. ოსიპოვი გიორგი ზაქარიას-ძე
30. პეტროსიანი მისაკ უმრშადის-ძე
31. საავიანი აზნივ მარკარის ასული
32. საინოვი აზიზ ალიეს-ძე
33. სარქისიანი მისაკ მარკოზის-ძე
34. ტერპეცკაია ხარიტინა ეგნატეს ასული
35. ტეჯოიანი მამო მიკირის-ძე
36. ტოპოლსკი ვიქტორ თევდორეს-ძე
37. უსოიანი ადილა ასადის ასული
38. ფაროიანი ოთარ როზგოს-ძე
39. შახბაზიანი ტატოს ალექსის-ძე
40. ხაჩატურიანი მელიქ პეტროსის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი.**

ქ. თბილისი, 1953 წ. 28 თებერვალი.

უნგრელ და ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი შეხვედრა

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა უნგრელ და ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი შეხვედრა.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი, ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის მოღვაწეები, ქალაქის საწარმოთა სტახანოველები.

დამსწრენი მქუხარე ტაშით მიესალმნენ სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის ახალი ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და ქართველი საბჭოთა მსახიობების სცენაზე გამოჩენას.

გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა პიანისტმა ხედი შნეიდერმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, კოშუტის პრემიის ლაურეატმა შანდორ შვედმა, ბუდაპეშტის ოპერის თეატრის სოლისტმა პაულა ტაკაჩმა, მევიოლინე აგნეშ ვადაშმა, კონცერტმაისტერმა იშტვან ხაიდუმ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა პ. ამირანაშვილმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ლ. გოცირიძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მსახიობმა მ. ნაკაშიძემ, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა მევიოლინე მ. იაშვილმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა დ. შვედოვმა, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტმა თ ამირაჯიბმა, კონცერტმაისტერებმა მ. ხოჯამიროვამ და ე. რჩეულიშვილმა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. იგი საბჭოთა და უნგრელი ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო გამოხატულება იყო.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ა. ი. მგელაძე, ზ. ნ. კეცხოველი, ვ. გ. ცხოვრებაშვილი. (საქჭესი).

20 მილიონი მანეთი მეტალურგების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის

დნეპროპეტროვსკი, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს დნეპროპეტროვსკის მეტალურგთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა დასასვენებლად ყირიმისა და კავკასიის ჯანმრთელობის კერებში. მარტო პეტროვსკის სახელობის ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა წელს უფასოდ და შეღავათიან პირობებში მისცა დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურები დაახლოებით ას მებრძმედეს, მგლინავსა და მეფოლადეს. საქარხნო კომიტეტის ახალი ბიუჯეტიდან 1.300 ათას მანეთზე მეტი იხარჯება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა განხორციელებაზე. შექმნილია დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების 1.500-ზე მეტი საგზური.

სულ ოლქის მეტალურგთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე წელს დაიხარჯება 20 მილიონზე მეტი მანეთი.

კუიბიშევ - მოსკოვის მაღალვოლტიანი ხაზის მშენებლობაზე

კუიბიშევი, 24 თებერვალი. (საკდესი). ჟიგულის ჩრდილო-დასავლეთით გაშენდა კუიბიშევჰეს-მოსკოვის ელექტროგადაცემის ხაზის მშენებელთა დაბა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აქ მოდის მანქანები და მოწყობილობა, ლითონი, ცემენტი, ხეტყე. მშენებლები ამზადებენ ბეტონის საძირკვლებს საყრდენებისათვის, ამონტაჟებენ ლითონის კონსტრუქციებს ელექტროსადენთა გასაბმელად; უკვე დამონტაჟებულია პირველი 27-მეტრიანი ფოლადის კოშკები.

ამ უბანზე უნდა გაიყვანონ ელექტროგადაცემის 120 კილომეტრი ხაზი. ამ ხაზზე გაკეთდება რამდენიმე ასეული ლითონის საყრდენი. შესრულებულ იქნება ჟიგულის მთებში ხაზის გაყვანის რთული სამუშაოები.

საშენი მასალები კოლმეურნეობებისათვის

კიშინიოვი, 25 თებერვალი. (საკდესი). მოლდავეთის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ადიდებენ კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების გამოშვებას. გასულ წელთან შედარებით ერთიორად გადიდდება კირის წარმოება, 20-30 პროცენტით — აგურისა და კრამიტის გამოშვება.

რესპუბლიკაში შენდება ათი ახალი აგურ-კრამიტის ქარხანა. ერთიორად გადიდდა რეკონსტრუირებულ საწარმოთა სიმძლავრე კამენკის, დუბოსარისა და ნისპორენის რაიონებში. სარეწაო კომბინატები ახალი ტექნიკით იარაღდებიან. ხდება ნიჟარაქვის ამოღების მექანიზაცია.

საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VI პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი ქალაქ თბილისის კომკავშირელთა პოლიტიკური განათლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ბერიას რაიკომის მდივანმა ამხ. თ. ჯანელიძემ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. კოპალიანმა, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა, რკინიგზის თბილისის კვანძის პარტკომის მდივანმა ამხ. ლ. ჭკუასელმა, პარტიის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ და სხვებმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ თბილისის კომკავშირელები აღფრთოვანებით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულ ბრძნულ სიტყვას, ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". ამ ისტორიული დოკუმენტების შესწავლა კომკავშირელებს აღაფრთოვანებს მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში, აიარაღებს მათ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიის ცოდნით.

გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობის მიუხედავად ქალაქის კომკავშირელთა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდების პოლიტიკური განათლების, პოლიტიკური აღზრდის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. აბრეშუმსაქსოვი და ზამბის ფაბრიკების, ქარხანა „პლასტმასის", თბილისის უნივერმაღის და ბევრ სხვა საწარმო-დაწესებულებათა კომკავშირულ პოლიტსკოლებსა და წრეებში დაბალია მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონე, არის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები. ცალკეული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პროპაგანდისტული კადრების შერჩევას და აღზრდას, სუსტად უწევენ კონტროლს და ცუდად ეხმარებიან მათ მუშაობის გაუმჯობესებაში.

კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ კომკავშირული კადრების იდეური აღზრდის საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ხოლო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ხშირად ქმედით დახმარებას და ოპერატიულ ხელმძღვანელობას არ უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

პლენუმმა სათანადო ღონისძიებანი დასახა კომკავშირელების პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებისათვის.

უახლესი ტექნიკის მექანიზატორთა მომზადება

საქართველოს ჩაის პლანტაციების დამუშავებაში წელს ფართოდ ინერგება უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მექანიზებულია დამუშავების ისეთი პროცესები, როგორიც არის ჩაის გასხვლა, ფუმიგაცია და კულტივაცია. გამოცდის პროცესშია ჩაის საკრეფი მანქანა.

ამ დღეებში მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებში მუშაობა დაამთავრა ამ მანქანებზე მომუშავე მექანიზატორთა კადრების მოსამზადებელმა კურსებმა, რომლებმაც მოამზადეს 175 კაცი. კურსებზე ლექტორებად მოწვეული იყვნენ კონსტრუქტორი მექანიზატორები ნ. გომართელი, ტ. ლორთქიფანიძე და გ. ავეტისიანი.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო მექანიზატორთა ახალი კადრების დასახმარებლად უშვებს ილუსტრირებულ დროებით ინსტრუქციას, რომელშიც დაწვრილებით იქნება განმარტებული ჩაის პლანტაციებში ახლად დანერგილი მანქანების კონსტრუქცია, მათი ექსპლოატაციისა და მოვლის წესები.

თბილისის საუკეთესო მშენებელთა ტრიბუნა

სამუშაოზეა ვალერიან ჭელიძის ბრიგადა

ჩელუსკინელების ქუჩაზე თბილისმშენის მეხუთე სამშენებლო კანტორა აშენებს დიდ ხუთსართულიან საცხოვრებელ სახლს. ამჟამად ამ მშენებლობაზე უკვე დაწყებულია შენობის გარეთა და შიგნითა მოპირკეთება, სამუშაო გაუჩნდათ ხუროებს და მლესავებს. მოპირკეთების სამუშაოთა შესრულება დაკისრებული აქვს იმავე თბილისმშენის მესამე სამშენებლო კანტორას, რომელსაც ინჟინერი ნინო ბალანჩივაძე ხელმძღვანელობს.

მესამე სამშენებლო კანტორის კოლექტივში ხუროების საუკეთესო ბრიგადის სახელი აქვს მოხვეჭილი ვალერიან ჭელიძის ბრიგადას. უკვე მრავალი წელია ეს ბრიგადა ჩამოყალიბდა და მუშაობს. ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, რომ ბრიგადას დავალება სულ ცოტა 150 პროცენტით არ გაენაღდებინოს. წელს იანვრის დავალება, მიუხედავად იმისა, რომ შეფერხებანი ჰქონდათ, ბრიგადამ 180 პროცენტით შეასრულა, ხოლო თებერვლისა — 190 პროცენტით.

— ჭელიძის ბრიგადა ჩვენი კოლექტივის საუკეთესო ადამიანებისაგან შედგება, — თქვა ამ სახლის მოპირკეთების სამუშაოთა მწარმოებელმა ინჟინერმა დურმიშხან ფურცელაძემ.

— მეეჭვება, ასე შეწყობილად მომუშავე ხუროების მეორე ბრიგადა სტალინის რაიონში სხვა რომელიმე მშენებლობაზე იყოს! აი, თვითონაც მოდის. თვითონ ილაპარაკოს თავისი ბრიგადის გამოცდილებაზე!

ხმელხმელი, საშუალოზე მაღალი ტანის, სანდომიანი გამომეტყველების კაცი აღმოჩნდა ვალერიან ჭელიძე.

— ჩემი ბრიგადის გამოცდილებაზე მოგითხროთ? — თქვა მან და შეჩერდა, თითქოს სიტყვებს ეძებს, უჭირს, არ იცის საიდან დაიწყოს საუბარი.

— გეგმებს ყოველთვის ვასრულებთ, რასაც ვაკეთებთ, სულ საგულდაგულოდ, საშვილიშვილოდ, ხე-ტყის მასალის ეკონომიას ვაღწევთ. კიდევ რა? — ლურსმნის ეკონომიაც გვაქვს, წებოსი...

— კი, მაგრამ როგორ აღწევთ ასეთ მაჩვენებლებს, როგორ გაქვთ ბრიგადაში მოწყობილი მუშაობა?

— აი როგორ... და დაიწყო თხრობა ბრიგადირმა თავის ბრიგადაში შრომის ორგანიზაციის შესახებ.

ვალერიან ჭელიძის გარდა ბრიგადაში 11 კაცია — ბენიამინ დვალი, სერგო მაისურაძე, ოთარ ჭელიძე, ჯიბო ჯმუხაძე, სერგო ჭალიაშვილი, გიგა გოლჯშვილი, ვლადიმერ გორგაძე და სხვები. მათ ყველას ერთნაირი კვალიფიკაცია არ ჰქონდა. ბრიგადირმა ამოცანად დაისახა ბრიგადაში არც ერთი დაბალკვალიფიციური წევრი არ ჰყოლოდა, და დაიწყო მათთან მეცადინეობა. მოიყენებდა გვერდში უფრო გამოუცდელ ამხანაგს, თვითონ მუშაობდა, მას აყურებინებდა და ასეთი წესით ყველას შეასწავლა პლინტუსის ფაქიზად დაგება, პარკეტის ჩაწყობა-დამაგრება, კარ-ფანჯრის ჩარჩოების ბეჯითად ჩასმა, ხარაჩოების საიმედოდ აწყობა, საბეტონე ქარგილების კოხტად შეჭედვა.

მაგრამ ბრიგადაში მაინც არის მუშაობის ხარისხის მიხედვით ერთგვარი უთანაბრობა. მაგალითად, მიხეილ დელიანოვი და ტარიელ ჩუბინიძე ხარაჩოს რომ გააწყობენ, უკეთესი იშვიათია. სამაგიეროდ, პარკეტის დაგებაში დიანოზ სიუკაევს და ოთარ ჭელიძეს ბადალი არა ჰყავთ.

ხუროებში, ისევე როგორც დურგლებში არიან „თეთრი საქმის" ოსტატებიც და არა „თეთრი" საქმის ოსტატებიც. ზოგი დურგალი, მაგალითად, უფრო დახელოვნებულია კარადის კეთებაში, მეორეს მაგიდის კეთება უფრო ეხერხება. ასევე ზოგი ხურო უფრო დაოსტატებულია „შავი" იატაკის კეთებაში, ან სახურავისათვის ლორფინების გაწყობაში, ზოგი კი უკეთეს დახელოვნებას იჩენს პარკეტის დაგებაში, კარ-ფანჯრის ჩარჩოების ჩასმაში. ბრიგადის თვითეული წევრის უნარისა და დაოსტატების დონის ცოდნა ბრიგადირს უადვილებს ყოველ სამუშაოზე წარმატების მიღწევას, ძალთა მიზანშეწონილად განლაგებას.

მაგრამ ბრიგადის საერთო წარმატებისათვის ეს არ კმარა. საჭიროა ყოველი სამუშაო შესრულდეს რაც შეიძლება ნაკლებ დროში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისათვის. ამისათვის ბრიგადირი, როგორც კი სამუშაო ფრონტს ჩაიბარებს, ეთათბირება ბრიგადის წევრებს — როგორ ჯობს, საიდან დავიწყოთ, ვის რა წინადადება გაქვთ? ბრიგადის კოლექტიური აზრი ყოველთვის იმარჯვებს, ყოველთვის პოულობს მოკლე გზას შრომითი წარმატებისაკენ.

— მაგრამ ცუდი ის არის, — განაგრძობდა ბრიგადირი, — რომ ხშირად ჩვენს ბრიგადას ხელი ეშლება სხვა პროფესიის მშენებელთა მოუქნელი მუშაობით. მაგალითად, ამას წინათ უნდა დაგვეწყო პარკეტის დაგება. ვერ დავიწყეთ იმიტომ, რომ იმ ოთახებში, სადაც სამუშაო ფრონტი მოგვცეს, კარის ჩარჩოები კედლებში ჩასმული არ იყო. მუშაობა რომ დაგვეწყო, მოგვიხდებოდა დროებით დაგვეტოვებინა ადგილი კარის ჩარჩოს მახლობლად (ჩარჩოს ჩასმისას პარკეტი შესაძლოა გაფუჭდეს, გამოსაცვლელი გახდეს!) და შემდეგ ხელახლა მივბრუნებულიყავით რამდენიმე ცალი პარკეტის დასაგებად. მაშასადამე, მეტი დრო დაგვეხარჯებოდა, მასალაც მეტი წავიდოდა. ამიტომ ამ სამუშაოზე იმ დღეს უარი ვთქვით, სამაგიეროდ შევუდექით ფასადის მომპირკეთებელთათვის ხარაჩოების აღმართვას. გაცდენით არ გავცდით, ოღონდ ხვალის საქმე დღეისათვის გადმოვიტანეთ, დღეის საქმე კი ხვალისათვის გადავდევით...

ბრიგადის შესვენების დრო დამთავრდა, ბრიგადირმა საუბარი შეწყვიტა, ბოდიშით წავიდა.

— ასეთია ჩვენი ვალერიან ჭელიძე, — თქვა ინჟინერმა, — იცის წუთების ფასი. საყვარელი კაცია. ხარაჩოების აღსამართავად დღეს სამუშაოდ გავიდა მისი ბრიგადა. მაშასადამე, ხვალ ფასადის პირველ სართულზე მომპირკეთებლებისათვის ხარაჩო მზად იქნება.

მეორე დილით სახლის პირველ სართულზე ხარაჩო უკვე აღმართული იყო.

დ. ლომთაძე.

> დღეიდან გაზეთი „კომუნისტი" დროდადრო სისტემატურად დაუთმობს ადგილს ახალი თბილისის მშენებელთა გამოცდილების აღწერას, მასალებს მოწინავე მშენებელთა მუშაობის მეთოდების შესახებ. ამ საქმეში რედაქცია მოელის მშენებელთა, სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული მუშაკების დახმარებას, საუკეთესო კალატოზების, ხუროების, მებეტონეების, სამშენებლო მექანიზმებზე მომუშავეების, მლესავების, მთელ რიგ სხვა პროფესიათა მიხედვით მოწინავე მშენებლების გამოვლინებას და მათ შესახებ რედაქციისათვის მასალების მოწოდებას.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოში

ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში წელს „ტყის დღის" მოწყობის საკითხი.

მიღებულია გადაწყვეტილება „ტყის დღე" რესპუბლიკაში მოეწყოს 1953 წლის 1 მარტიდან 1 აპრილამდე. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭოებს, თბილისისა და ქუთაისის ოლქების საზოგადოება „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო კომიტეტებს დაევალათ „ტყის დღე" მოაწყონ ერთ ან ორ კვირადღეს.

„ტყის დღის" ორგანიზებულად მოწყობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ წინასწარ გამოყოფილ იქნას გასატყიანებელი და გასამწვანებელი ფართობები და შერჩეულ იქნას სტანდარტული ნერგები.

რეკომენდებულია მწვანე ნარგავები გაშენდეს საწარმოთა ტერიტორიაზე, დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების ეზოებში, ქუჩების, გზებისა და არხების გაყოლებით, ხევებში, კოლმეურნეობათა მიწებზე, რომლებიც სახნავ-სათესად გამოუსადეგარია, მტს-ების კარმიდამოში და სხვ. გზების გაყოლებით დასარგავად გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ხეხილისა და სამერქნე ჯიშების სტანდარტული ნერგები.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ნერგების კარგად შენახვას დარგვამდე, ნერგი ფრთხილად გადაიზიდოს დარგვის ადგილას.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კარგად მოეწყოს ნერგების დარგვა, რამაც ნარგავთა შემდგომ მზრუნველ მოვლასთან ერთად უნდა უზრუნველყოს მცენარეთა სრული გახარება. ახალ მცენარეთა დარგვასთან ერთად უნდა შემოწმდეს, თუ რა მდგომარეობაშია განვლ წლებში დარგული ნერგები და მიღებულ იქნას ყველა საჭირო ღონისძიება მათი მოვლის გაუმჯობესებისათვის, ნარგავთა განახლებისათვის.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საბჭომ დაამტკიცა „ტყის დღეს" ხეხილისა და სხვა ჯიშის ნერგების, აგრეთვე ბუჩქების დარგვის გეგმა 4 მილიონი ძირის რაოდენობით, აქედან თბილისის ოლქში უნდა დაირგოს 1.600 ათასი ძირი, ქუთაისის ოლქში — 1.500 ათასი ძირი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 500 ათასი ძირი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 250 ათასი ძირი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 150 ათასი ძირი.

მწვანე მშენებლობის იდეების ფართო პროპაგანდისათვის, „ტყის დღის" მოწყობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მშრომელთა მასების ჩაბმისათვის საწარმო-დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს ლექციები და საუბრები ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" მიზნებისა და ამოცანების, ტყისა და მწვანე ნარგავთა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ ჰავის გაუმჯობესებისათვის, ქარისა და გვალვისაგან მინდვრების, ბაღებისა და პლანტაციების დაცვისათვის, ნიადაგის შენახვისა და გაუმჯობესებისათვის და სხვ.

რესპუბლიკაში „ტყის დღის" წარმატებით მოწყობისათვის რეკომენდებულია ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" საქალაქო, რაიონულ და ძირეულ ორგანიზაციებს შორის. „ტყის დღის" მოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს მწვანე ნარგავთა ფართობის გადიდებას, აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" პირველადი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. (საქდესი).

საბჭოთა საქართველოს 32 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები აზერბაიჯანში

აზერბაიჯანის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავისადმი.

სესიამ მოისმინა პროფესორ ი. ჰუსეინოვის მოხსენება „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში", გ. ხალილოვის მოხსენება — „მ. ფ. ახუნდოვი და გ. ერისთავი", ა. ჰუსეინოვის მოხსენება — „საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურის აყვავება" და დოცენტ პ. ხალილოვის მოხსენება — „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ასახვა ქართულ ლიტერატურაში". სიტყვებით გამოვიდნენ მეცნიერი მუშაკები, მწერლები და სტუდენტები.

25 თებერვალს უნივერსიტეტში მოეწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჰაჯიევმა, მოხსენება „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავი" წაიკითხა დოცენტმა ა. ჰაჯი-ზადემ.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტისა და ბაქოს ქართული სკოლის მხატვრული თვითმოქმედების წრეებმა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სესიას დაესწრნენ პროფესორი ა. ლეჟავა, დოცენტები კ. ფაღავა და გ. ინწკირველი.

* * *

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში შედგა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 32 წლისთავისადმი.

სესიაზე მოხსენებით „საბჭოთა საქართველოს 32 წლისთავი" გამოვიდა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მ. თოფჩიბაშევი. მოსმენილ იქნა აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ისმაილოვის მოხსენება „მოძმე ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ერთობლივი ბრძოლა მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის", მეცნიერი მუშაკის დ. ალიევის მოხსენება — „ქართველი ხალხისა და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობისა და ძმობის ასახვა XIX საუკუნის ლიტერატურულ ურთიერთობაში".

დასასრულ გაიმართა ქართული მუსიკის კონცერტი.

დახმარების ერთი მაგალითი

დიდი სამუშაოებია გაშლილი თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, განსაკუთრებით ვაკეში და საბურთალოზე. აქ 11 სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაცია მუშაობს. აშენებენ საცხოვრებელ სახლებს, ადმინისტრაციულ შენობებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსს, უმაღლეს სასწავლებელთათვის ახალ კორპუსებს და ა. შ.

ეს სამშენებლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ გამართულად, ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში. საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი დაინტერესდა ამ მდგომარეობით, შეისწავლა მშენებლობებზე შექმნილი მდგომარეობა და დასახა ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებანი. ამის შედეგად მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა უკეთესად იწყეს მუშაობა.

„საქკვებმშენის" სამშენებლო კანტორას, რომელიც ვაკეში აშენებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ სახლს, მუშახელი არ ჰყოფნიდა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამ მშენებლობაზე სუსტად იყო დაყენებული. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა ამ მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი, დაეხმარა მშენებლებს მუშახელის გამონახვაში, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაჯანსაღებაში და მშენებლობის საქმეც გაუმჯობესდა. ახლა ამ მშენებლობის კოლექტივი წარმატებით მუშაობს, დამაკმაყოფილებელი საწარმოო მაჩვენებლები აქვს.

ეს მაგალითი ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობის წარმატებისათვის რაიონული პარტიული ორგანიზაციის დახმარებას.

პარტიულ თემაზე

რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი წესდებით პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიურად იმუშაონ კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისათვის, აწარმოონ სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა მასებში, დარაზმონ ისინი საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის. მათ ხელი უნდა შეუწყონ ზემდგომ პარტიულ ორგანოებს მთელ პრაქტიკულ მუშაობაში, მხარი დაუჭირონ ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, ებრძოლონ უნიათობას და საქმის უყაირათოდ გაძღოლას საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, ყოველდღიურად იზრუნონ მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაობაში წარმატებებს იქ აღწევენ, სადაც პარტიული ორგანოები ეყრდნობიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სწორად წარმართავენ მათს საქმიანობას, უწევენ კონკრეტულ დახმარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კომპარტიის გაგრის რაიკომის ნაყოფიერი მუშაობა.

გაგრის რაიკომს ცოცხალი, ყოველდღიური კავშირი აქვს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, ზრუნავს პარტორგანიზაციების მდივნების პოლიტიკური აღზრდისათვის. რაიკომი მათთვის რეგულარულად აწყობს სემინარებსა და თათბირებს, სადაც იკითხება ლექციები და მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: პარტიული კრება და მისი მომზადება, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, პარტიული მეურნეობა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანგარიშგება-არჩევნების შედეგად პირველადი პარტიული ორგანიზაციების ახლად არჩეული მდივნებისადმი დახმარებას.

რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე ხშირად განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს და შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სახავენ საჭირო პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა შესრულებაზე მტკიცე კონტროლია დაწესებული.

როგორც ცნობილია, პარტიის რიგები განუწყვეტლივ იზრდება მუშების, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით. ეს ადამიანები გამსჭვალული არიან ლენინ—სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, მზად არიან მთელი ძალები მოახმარონ სოციალისტურ სამშობლოს, მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადო წრთობა. პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში წარმატებას მხოლოდ მაშინ მიაღწევენ, თუ ყველა კომუნისტი, პირველ რიგში პარტიის ახალგაზრდა წევრი, ჩაბმული იქნება აქტიურ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საქმიანობაში, თუ მონაწილეობას მიიღებს კრებებისათვის საკითხების მომზადებასა და პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებაში, გამოვა მოხსენებით, სანიმუშოდ შეასრულებს პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის მუშაობას შეათავსებს სამეურნეო საქმიანობასთან, იქნება შემოქმედებითი შრომის ავანგარდში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდათ. რაიკომმა გადაწყვიტა ეს საკითხი სპეციალური მსჯელობის საგნად გაეხადა. რაიონის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გულდასმით იქნა შესწავლილი ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და მორიგ პლენუმზე მოსმენილ იქნა საკითხი გაგრის რაიონულ პარტორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პარტიის რაიკომი საკითხის მხოლოდ განხილვით როდი დაკმაყოფილდა. იგი პარტორგანიზაციებს ადგილებზე სისტემატურად უწევდა დახმარებას პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში. ამის შემდეგ რაიკომმა შეამოწმა მიღებული დადგენილების შესრულება და შედეგი განიხილა ბიუროს სხდომაზე. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, სოფელ კოლხიდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის, კავშირგაბმულობის რაიონული კანტორისა და გზათა სამინისტროს სამშენებლო კანტორის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა კვლავ არადამაკმაყოფილებელ იდგა. მაგალითად, ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში (მდივანი ამხ. გ. თოფურია) 28 ახალგაზრდა კომუნისტიდან ნახევარზე მეტს არავითარი პარტიული დავალება არ ჰქონდა მიცემული, ორი მათგანი — ი. უშვერიძე და ე. ძნელაძე კი პოლიტიკური სწავლების არც ერთ ფორმაში არ იყო ჩაბმული. კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის პარტორგანიზაციაში (მდივანი ამხ. ვ. ხაბურზანია) კრებებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში სუსტად იყვნენ ჩაბმულნი ახალგაზრდა კომუნისტები. ამხანაგებს ვ. სალტიკოვს და ხ. მინასიანს როგორც საკითხების განხილვაში, ისე კამათშიც, ერთხელაც არ მიუღიათ მონაწილეობა. უარესი მდგომარეობა იყო სამშენებლო კანტორის პარტორგანიზაციაში. აქ კრებაზე განხილული 27 საკითხიდან თვით მდივნის ამხ. ი. გეგეჭკორის მიერ გამოტანილი იყო 19. ამასთან ბევრ ახალგაზრდა კომუნისტს ფორმალურად ჰქონდა დაკისრებული პარტიული დავალება. მაგალითად, ამხ. გარანიანი, ამხ. კარცული და ამხ. კოლესნიკი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ აგიტატორის საპატიო მოვალეობა, უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ ამ საქმეს. ისინი საუბრებს იშვიათად და მოუმზადებლად მართავდნენ.

რაიკომის მიერ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, ნაკლოვანებანი მოკლე დროში აღმოიფხვრა. ამჟამად აღნიშნულ პარტორგანიზაციებში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე დგას.

პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა. ამიტომ პარტორგანიზაციებში კრების მაღალიდეურ დონეზე ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ საკითხს სოფელ ნაკადულის კოლმეურნეობა „შრომის" პარტორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. პარტიულ კრებაზე განსახილველ საკითხებს ნაჩქარევად ამზადებდნენ, ამიტომ კამათში მონაწილეთა რაოდენობა ძალიან მცირე იყო, მივიწყებული იყო კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზოგიერთი კრების ოქმი გაუფორმებელი, ხოლო ზოგიერთისა კი ცუდად შედგენილი იყო. გამოქონდათ ზერელე და არაფრისმთქმელი დადგენილებები.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში და დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ უზრუნველყო ნაკლოვანებათა გამოსწორება. მას შემდეგ ორგანიზაციაში კრებები მაღალ იდეურ დონეზე ტარდება. კომუნისტებმა რამდენიმე დღით ადრე იციან კრების მოწვევის დრო და ადგილი. საკითხების მომზადებაში, გარდა კომუნისტებისა, ჩაბმული არიან უპარტიო აქტივისტებიც. როგორც მომხსენებელი, ისე კამათში გამოსული ამხანაგები არსებული მდგომარეობის სწორ ანალიზს იძლევიან და აყენებენ ისეთ საქმიან წინადადებებს, რომელთა განხორციელებაც ხელს უწყობს ნაკლოვანებათა უახლოეს დროში აღმოფხვრას და წარმატებათა მოპოვებას. კრებებზე ფართოდ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მიღებული დადგენილებანი არსებული მდგომარეობის სწორ ანალიზს იძლევიან და სწორად მიუთითებენ მუშაობის გაუმჯობესების გზაზე.

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული ჯგუფების ნაყოფიერ მუშაობას. რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ბრიგადებთან შექმნილია პარტიული ჯგუფები, რომლებიც მათ წინაშე დასახულ ამოცანებს ცუდად არ ასრულებენ. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი პარტიული ჯგუფებიც, რომლებიც სუსტად მუშაობდნენ, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები კი მათ საკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევდნენ. სოფლების ლესელიძის და განთიადის კოლმეურნეობების ბრიგადებთან შექმნილი პარტიული ჯგუფები ფორმალურად არსებობდნენ. პარტჯგუფორგანიზატორებს შედგენილი არ ჰქონდათ სამუშაო გეგმები, კრებებს იწვევდნენ იშვიათად და მოუმზადებლად, დაბალი იყო კომუნისტების ავანგარდული როლი.

პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი აღნიშნულ კოლმეურნეობათა ბრიგადებში პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ, ხოლო მიღებული დადგენილების შესრულება ერთი თვის შემდეგ შეამოწმა. გამოირკვა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს სათანადო დასკვნები გაუკეთებიათ რაიკომის ბიუროს დადგენილებიდან. პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების შედეგად პარტიული ჯგუფები ახლა უკეთესად მუშაობენ. სისტემატურად იწვევენ პარტჯგუფის კრებებს, რომლებზეც განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის კომუნისტების ავანგარდული როლი, შრომის დისციპლინის განმტკიცება, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა; კრებებისათვის საკითხებს გულდასმით ამზადებენ და შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს იღებენ. თვითეულ პარტჯგუფორგანიზატორს აქვს გაწეული მუშაობის დღიური, სადაც ზუსტად არის აღნიშნული, თუ როდის იქნა მოწვეული კრება, რა საკითხი განიხილეს და ვის რა დავალება მიეცა.

ასევე რაიკომის მიერ სათანადო ღონისძიებებია განხორციელებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მეურნეობის მოსაგვარებლად, კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერებისათვის და სხვ.

რაიკომის მხრივ ყოველდღიური დახმარებისა და კონტროლის შედეგად პირველადი პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი გახდნენ. ისინი ფართოდ იყენებენ მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შეძენილ გამოცდილებას.

პირველადი პარტორგანიზაციების უნარიანი მუშაობის შედეგია ის, რომ 1952 წელს რაიონმა თამბაქოს მოსავლის დამზადების გეგმა ჯერ კიდევ 3 ნოემბრისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 350 ტონა თამბაქო.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რაიონში არის ზოგიერთი ისეთი პირველადი პარტორგანიზაცია, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს. ასე, მაგალითად, კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნის" და გაგრის ლესელიძის სახელობის სანატორიუმის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, კომუნისტებს მიცემული არა აქვთ შესაფერისი პარტიული დავალებები, კრებები ხშირად მოუმზადებლად ტარდება და მიღებული დადგენილებებიც ზერელეა. რაიკომს აღნიშნული პარტორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ჯერ კიდევ სათანადო ზომები არ მიუღია.

საჭიროა პარტიის გაგრის რაიკომმა მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებითა და არსებულ ნაკლოვანებათა მოკლე დროში აღმოფხვრით კიდევ უფრო აამაღლოს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, წარმართოს მთელი მათი საქმიანობა პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

ვ. წირღვავა,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სხარტულა

სამკურნალო მკურნალნი

არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა კაჰრეთის რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრებ ივანე ექვთიმიშვილს. იგი ავად გახდა გრიპით. დროზე არ მიიღო საჭირო ზომები, და სენი გაურთულდა. ასე რომ, როცა ექიმი მოიწვიეს, ავადმყოფი უკვე ლოგინში იწვა, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა და კვნესოდა.

— გართულებული გრიპია! — დაასკვნა ექიმმა ქეთევან მაცაბერიძემ, როცა ავადმყოფი გასინჯა, — საავადმყოფოში უნდა გავწეროთ, იქ უკეთ მოვუვლით.

ავადმყოფი ივანე ექვთიმიშვილი საავადმყოფოში წაიყვანეს...

— რა არის აქ არაჩვეულებრივი? — იტყვის მკითხველი, — ადამიანი ავად გამხდარა, საავადმყოფოში მოუთავსებიათ, იქ უმკურნალებენ და მოარჩენენ... ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია!

რა თქმა უნდა, ივანე ექვთიმიშვილის ავადმყოფობის ამბავი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მისი მკურნალობა კი... არაჩვეულებრივი.

ივანე ექვთიმიშვილი მოათავსეს საავადმყოფოს ერთ-ერთ ოთახში, რომელიც თავისი ტემპერატურით საყინულეს მოგვაგონებდა. ასეთ ცივ ოთახებში ჩვეულებრივ ხილსა და სხვა პროდუქტებს ინახავენ, რომ არ გაფუჭდეს, მაგრამ ივანე ექვთიმიშვილი ხომ ადამიანია და არა პროდუქტი!..

ჩაწვა ავადმყოფი მისთვის მომზადებულ ცივ საწოლში. ღამით სიცივემ კიდევ უფრო მოუჭირა, და ივანემ იწყო კბილების რაკუნი. რამდენადაც უჭერდა სიცივე, იმდენად ავადმყოფს სიცხეს უმატებდა. შუაღამემდე ღონივრად ურაკუნა კბილები ერთმანეთს ივანემ. მეორე დღეს დილიდანვე მორთო ყვირილი:

— სად მომიყვანეთ, რა დაგიშავეთ!

— გაუძელი, ნუ გეშინია, მარტო ხომ არა ხარ ამ დღეში! — ესმოდა ავადმყოფს ექთანის თუ სანიტრის ხმა.

— გავიყინე!

— რას ბრძანებთ, პატივცემულო! როგორ შეიძლება გაიყინოთ, როცა ორმოცი გრადუსი სიცხე გაქვთ!..

რის ვაი-ვაგლახით გაათენა მეორე ღამე ექვთიმიშვილმა. იშფოთა, იკვნესა და გაჩუმდა.

ავადმყოფის საწოლთან შეიკრიბნენ საავადმყოფოს თანამშრომლები.

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, თუ რა საუბარს გამართავდნენ ისინი ერთმანეთში:

— როგორ გრძნობს თავს ავადმყოფი? — კითხულობს ექიმი ქ. მაცაბერიძე (საავადმყოფოს გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებელი).

— მგონი სრულიად აღარაფერს გრძნობს... — უპასუხებს მას ექთანი.

— როგორ თუ აღარ გრძნობს!

— რა ვიცი, ბატონო, აღარ ინძრევა.

— არა, ჯერ ისევ სუნთქავს. ერთი უყურეთ, თავი როგორ მოიმკვდარუნა, თითქოს სიცივე თავის დღეში არ გამოეცადოს!..

— წამიყვანეთ შინ! — ამოიკვნესა ავადმყოფმა.

— გასწერეთ დაუყოვნებლივ, დღესვე ჩააბარეთ პატრონს. აქ არაფერი მოუვიდეს და შარში არ ჩაგვაგდოს.

და ივანე ექვთიმიშვილი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს, უკეთ რომ ვთქვათ, მიიტანეს შინ.

საავადმყოფოც ამას ჰქვია. წაიყვანენ სურდოთი დაავადებულს და გამოისტუმრებენ ფილტვების ანთებით დაავადებულს...

საინტერესოა, რა ნათესაურ კავშირში იმყოფებიან კაჰრეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები გოგოლის „რევიზორის" ერთ-ერთ პერსონაჟთან, სახელდობრ არტემ ფილიპოვიჩ ზემლიანიკასთან, რომელიც მეტად თავისებური აზრებით ცხოვრობდა ამ ქვეყანაზე. „ჰო, მკურნალობის მხრივ, — ამბობდა იგი, — ჩვენ ... მივიღეთ ჩვენი ზომები: რაც უფრო ახლოა ბუნებასთან, მით უმჯობესია... ადამიანი მარტივია: თუ სასიკვდილოა, — ისედაც მოკვდება, თუ მოსარჩენია ისედაც მორჩება".

შეუძლებელია, ზემოაღნიშნულ მუშაკებს რაიმე სულიერი ნათესაობა არ ჰქონდეთ გოგოლის ამ პერსონაჟთან.

განვაგრძოთ ამბავი.

ექვთიმიშვილს საავადმყოფოდან გაატანეს წამლები (ეს საქმე „დიდი მონდომებით" შეასრულა ექთანმა ნაზო ჭიკაძემ). თუ რამდენად ნაზად შეასრულა ეს საქმე ნაზო ჭიკაძემ, ჩანს იქიდან, რომ აღნიშნულმა წამალმა კინაღამ საბოლოოდ გაისტუმრა ივანე ექვთიმიშვილი, როგორც ძველად იტყოდნენ, „წიაღსა შინა აბრაამისა, სხვისა და სხვისა"...

გამოირკვა, რომ ნაზო ჭიკაძეს ავადმყოფ ივანე ექვთიმიშვილისათვის გაუტანებია სხვა ავადმყოფის — ნათელა დიღმელაშვილის წამალი!

რა ვუყოთ მერე! სამაგიეროდ ნათელა დიღმელაშვილს შეასმევენ ივანე ექვთიმიშვილის წამალს (ყველაფერი მოსალოდნელია კაკაბეთის საავადმყოფოში).

მერე ვინ არის დამნაშავე?

— მე რა შუაში ვარ? — იტყვის კაჰრეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. შ. ფილიშვილი. — საავადმყოფო კაკაბეთშია, ჩემი კაბინეტი კი კაჰრეთში...

— თუ ასეა, — იტყვის საავადმყოფოს გამგე, — არც მე ვარ შუაში. მე იმ ხანებში შვებულებაში გახლდით.

— რაკი აგრეა, — იტყვის ექიმი ქ. მაცაბერიძე, — არც მე ვარ შუაში. მე მხოლოდ დროებით ვასრულებდი გამგის მოვალეობას, რა არეულობაც დამიტოვა, ისეთივე დავახვედრე.

ექთანი ნაზო ჭიკაძეც იპოვნის საბუთებს თავის გასამართლებლად:

— ასეთ უწესრიგობაში თავგზა მაქვს არეული და რა გასაკვირველია, რომ წამლები ერთმანეთში ამერია!..

მაშ, ვინ არის დამნაშავე?

თურმე, ნუ იტყვით და დამნაშავენი ავადმყოფები არიან.

როგორც ხედავთ, ამხანაგო მკითხველო, საქმე სრულიად მოულოდნელად წარიმართა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სასარგებლოდ: სოფელ კაკაბეთში ადამიანებმა რომ იცოდნენ, თუ როგორ მოუარონ თავს რომ ავად არ გახდნენ, ესე იგი, ისინი რომ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს იცავდნენ, ავადაც არ გახდებიან და, მაშასადამე, მედიცინის მუშაკებსაც აღარ შეაწუხებენ.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ კაჰრეთის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ამხ. მ. ფილიშვილი და მისდამი რწმუნებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზემოდასახელებული ამხანაგები, რომ თუ ისინი ასე „იმუშავებენ", გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ახლო მომავალში საბრალდებო სკამზეც აღმოჩნდნენ...

ამჯერად კი მხოლოდ ერთ რამეს ვურჩევთ მათ:

— ჯერ თვით განიკურნეთ, მკურნალნო!

ქ. შავიშვილი.

«კომუნისტის» სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსული სიგნალის შედეგად საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ სოფელ ჩომეთის ვოდოპიანოვის სახელობის კოლმეურნეობაში გამოავლინა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების დარღვევის სერიოზული ფაქტები. შემოწმების შედეგი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას მოხსნას თანამდებობიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. ქორიძე და აღნიშნული დარღვევისათვის მისცეს იგი პასუხისგებაში.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ახალი ტექნიკა საქართველოს მრეწველობაში



თბილისში არსებობს ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟი", რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საბჭოთა ტექნიკით. ამას წინათ ფაბრიკაში კვლავ მიიღეს ვისკოზური ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანა, რომელიც უკვე გამართული და ამუშავებულია. სურათზე: ვისკოზური ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანა; ოსტატის თანაშემწე ე. ფესენკო და სტახანოველი მ. კალმახელიძე მანქანაზე ნართის გამართვისას.

ფოტო ვ. ზარიძისა.

გაზაფხული დადგა, ტრაქტორები შეუკეთებელია

მარნეული. (საკ. კორ.). ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების საზამთრო რემონტის გეგმის შესრულებაში მარნეულის რაიონის მტს-ები ჩამორჩნენ. მაგალითად, მარნეულის მტს-ს 20 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 78,6 პროცენტით. მტს-ის დირექტორი ე. ბაბასიანი სუსტად ხელმძღვანელობს მექანიზატორებს. ის საფუძვლიანად არ სწავლობს ჩამორჩენის მიზეზებს, მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მთავარ მექანიკოსსა და მთავარ აგრონომს, რომლებსაც ჯერ კიდევ აკლიათ მუშაობის გამოცდილება. სარემონტო სახელოსნოში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, მტს-ის ხელმძღვანელები შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

ზოგიერთი ტრაქტორის შეკეთების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. ცალკეული მათგანის ამუშავება ახლავე ძნელდება. მიმღებმა კომისიამ თავის დაზღვევის მიზნით ყველა შეკეთებულ ტრაქტორს საშუალო შეფასება მისცა.

მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ მათ შექმნილი არა აქვთ მუშაობის საჭირო პირობები. ჩამორჩენის მიზეზი ისიც არის, რომ მტს-ში დანერგილი არ არის ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც შულავრის მტს-შია (დირექტორი ვ. შენგელია). სარემონტო სახელოსნო არ არის სათანადოდ მოწყობილი. მტს-ი დაგვიანებით შეუდგა ტრაქტორების რემონტს. წლიური დავალება 20 თებერვლისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 78,9 პროცენტით. დირექცია არ ნერგავს რემონტის კვანძურ მეთოდს. ამის გამო შრომის ნაყოფიერება დაბალია.

პარტიის მარნეულის რაიკომმა რამდენჯერმე განიხილა მტს-ებში ტრაქტორების რემონტის მიმდინარეობის საკითხი, მაგრამ ამ საქმეში მკვეთრი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები უკვე დაიწყო, ხოლო მტს-ები ყოველმხრივ მომზადებული არ არიან.

ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტისადმი ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები

წითელწყარო. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა მინდვრის სამუშაოები. გაძლიერებული ტემპით წარმოებს მზესუმზირას თესვა. მზესუმზირას თესვის გეგმა შესრულებულია 26,6 პროცენტით.

თესვაში დაწინაურდნენ წითელწყაროს ლენინის სახელობის და მოლოტოვის სახელობის, საბათლოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობები. მოწინავე კოლმეურნეობები კარგად იყენებენ თესვისათვის ხელსაყრელ პირობებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესიის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელი დილის სხდომა გადაიდო, რადგან არავინ იყო კორეის საკითხზე კამათში მონაწილეობის მსურველი.

დღის სხდომაზე მოკლე განცხადებებით გამოვიდნენ ავსტრალიის, ბრაზილიისა და პერუს წარმომადგენლები, რომლებიც იმეორებდნენ ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენელთათვის ჩვეულ ცილისმწამებლურ ჭორებს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ყოველნაირად ამართლებდნენ ამერიკის ინტერვენციას კორეაში.

ვინაიდან 27 და 28 თებერვალს კამათში მონაწილეობის მსურველი ორატორები არ აღმოჩნდნენ, პოლიტიკური კომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია 2 მარტისათვის.

ჟურნალისტთა წრეებში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლები ყოველნაირად არიდებენ თავს კორეის საკითხის საქმიან განხილვას და კვლავ მოქმედებენ იმის საწინააღმდეგოდ, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართული იქნება კორეაში ომის შეწყვეტისაკენ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნიკე პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ

ვენა, 27 თებერვალი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დღეს გამოაქვეყნა სპეციალური კომუნიკე პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია:

„განიხილა რა ბევრი ეროვნული პროფკავშირის წინადადება, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა 1953 წლის 25-28 თებერვლის სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას ვენაში 1953 წლის ოქტომბერში პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესი.

კონგრესის წინასწარ დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ანგარიში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ და პროფკავშირთა შემდგომი ამოცანები ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განსამტკიცებლად.
2. პროფკავშირთა ამოცანები კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში დემოკრატიულ თავისუფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.
3. კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში პროფკავშირული მოძრაობის განვითარების შესახებ.
4. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

მშრომელი მასების მოთხოვნილებათა უფრო ღრმად გამოვლინებისათვის და იმ მიზნით, რომ კონგრესი მოეწყოს ფართო საფუძველზე, აღმასრულებელმა კომიტეტმა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს დაავალა გამოარკვიოს ყველა იმ ეროვნული პროფკავშირისა და ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის აზრი, რომლებიც მხარს უჭერენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, განზრახული დღის წესრიგის შესახებ და მოიწვიოს ა. წ. 20 აპრილს აღმასრულებელი ბიუროს სხდომა, რომელზეც შემუშავებულ უნდა იქნას კონგრესის მომზადებისა და მოწყობის ღონისძიებანი პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი.

ვენა, 1953 წლის 27 თებერვალი".

ამერიკელი აგრესორები მხეცურად ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს

პეკინი, 27 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

მას შემდეგ, რაც კორეის სახალხო არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აიძულეს ლისინმანელთა მარიონეტული არმიის რიგებში ებრძოლათ, ტყვედ ვარდებიან და ჩვენებას იძლევიან, სულ უფრო მეტია იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკელი ინტერვენტები მხეცურად ეპყრობიან სამხედრო ტყვეებს.

მტკიცდება ის ფაქტი, რომ ჟენევის კონვენციის საწინააღმდეგოდ ამერიკის სარდლობას არა ერთხელ გადაუცია სამხედრო ტყვეების ჯგუფები ლი სინ მანის ბანდიტებისათვის საზარბაზნე ხორცად გამოყენების მიზნით, რომ ბანაკებში ხშირია სამხედრო ტყვეების ხოცვა-ჟლეტა, და სამხედრო ტყვეებს ასრულებინებენ მეტად საშიშ და მძიმე სამუშაოს.

1952 წლის 30 ივნისიდან ამერიკელებმა ლი სინ მანის ბანდიტებს იონჩხონის ბანაკიდან „განთავისუფლების" საბაბით 17 ჯგუფად გადასცეს 27 ათასი სამხედრო ტყვე. ამ ფაქტს ადასტურებს ორი ყოფილი სამხედრო ტყვე, რომლებიც იყვნენ ამერიკელთა ბანაკებში და რომლებიც ამერიკელებმა აიძულეს ებრძოლათ ლი სინ მანის არმიაში. ეს სამხედრო ტყვეები არიან ჟინ იუნ კენი და ლი კილ სუ. მათ მიერ მიცემული ჩვენება ყოველ ეჭვს გარეშეა. ჟინ იუნ კენი და ლი კილ სუ იმყოფებოდნენ შესაბამისად კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკის 68-ე და 61-ე სექტორებში. გასული წლის აპრილში ორივე გადაიყვანეს იონჩხონის ბანაკში. „განთავისუფლების" წინ ვან ფლიტმა და ლი სინ მანმა მოახდინეს ბანაკის „ინსპექტირება". შეამოწმეს მზადყოფნა „განთავისუფლებისათვის", რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სამხედრო ტყვეებს შინ მიიყვანდნენ ბადრაგით, ესე იგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, გადასცემდნენ ადგილობრივ პოლიციას. ასე „განთავისუფლებულ" სამხედრო ტყვეებს, ბუნებრივია, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ შესულიყვნენ „მუშათა კორპუსში", რომელიც სპეციალური სააგენტოა და მომსახურებას უწევს ამერიკის არმიას. „მუშათა კორპუსიდან" მათ გზავნიდნენ ლისინმანელთა არმიაში.

ამერიკელების მიერ სამხედრო ტყვეთა დახოცვის დამამტკიცებელი საბუთები უდავო და საყოველთაოდ ცნობილია. შესაძლოა ისე კარგად არ იყოს ცნობილი ის, რომ ახლა უკვე მოკლულ ამ სამხედრო ტყვეთაგან ბევრს ამერიკელები ექსპერიმენტული მიზნებისათვის იყენებდნენ. მაგალითად, ტყვედ წამოყვანილმა ლისინმანელთა არმიის ჯარისკაცმა კიმ სუნ ტემ ილაპარაკა, რომ 1952 წლის 18 თებერვალს კუნძულ კოჯედოს ბანაკის № 62 სექტორში იმ სამხედრო ტყვეების მასობრივი დახოცვის შემდეგ, რომლებიც უარს ამბობდნენ მათ „გადარჩევაზე", № 64 სექტორის ჰოსპიტალში გადაიტანეს 80-ზე მეტი გვამი. 4 ამერიკელი ექიმი ნაწილ-ნაწილ სჭრიდა ამ გვამებს, აცლიდნენ ნაწლავებს, ზოგიერთ შემთხვევაში სჭრიდნენ თავებს, რომლებიც სპეციალური ხსნარით გარეცხვის შემდეგ ჩაალაგეს 2 დიდ ყუთში და გაგზავნეს პუსანს. კიმ სუნ ტე ამ დროს ჰოსპიტალში მუშაობდა. იგი არა მარტო მოწმე იყო ამ „ოპერაციებისა", არამედ იძულებულიც გახდა მონაწილეობა მიეღო კუნძულ კოჯედოს ჩანსონპოს რაიონში დასახიჩრებული გვამების დასაფლავებაში.

იმ სამხედრო ტყვეების ხვედრი, რომლებსაც თითქოს ბედი ეწიათ, რადგან ისინი ლისინმანელთა ბანდიტებს არ გადასცეს, ან რომლებიც ცოცხალი გადარჩნენ, საეჭვოა უკეთესი იყოს. მათ დღე-ღამეში 12 საათს ამუშავებენ და უაღრესად მძიმე სამუშაოებს ასრულებინებენ. კუნძულ კოჯედოს, პუსანის, მუნსანისა და იონჩხონის ბანაკებში მყოფ ყველა სამხედრო ტყვეს აიძულებენ მთის ციცაბო კალთებზე აფოფხდნენ, მოამტვრიონ და გადაიტანონ ლოდები, რომლებსაც აეროდრომების მშენებლობისათვის იყენებენ.

ბევრი სამხედრო ტყვე საშინელი დაღლილობის გამო კლდეზე თავს ვერ იმაგრებს და უსულოდ ეცემა ძირს, შავდება კლდიდან დაგორებული ქვით.

ამ მუშაობის დროს აკრძალულია თუნდაც ერთ წუთს დასვენება. საკმარისია ოდნავ დაირღვეს ის წესები, რაც დაადგინეს ამერიკელმა და ლისინმანელმა აგენტებმა, რომლებიც სამხედრო ტყვეებს უთვალთვალებენ, რომ ამას მოჰყვეს წამება ან სიკვდილიც კი. იყო შემთხვევები, რომ, როცა სანაპიროებსა და სამხედრო ხომალდებზე მომუშავე სამხედრო ტყვეები ერთი წუთით ისვენებდნენ, რათა სული ამოეთქვათ, მათ ამისათვის ზღვაში ყრიდნენ. კუნძულ კოჯედოს ბანაკის 66-ე სექტორის ერთ-ერთ სამხედრო ტყვეს მუშაობის დროს დაღლილობის, გამო ყუთი გაუვარდა ხელიდან. ამისათვის მას ამერიკელებმა თითები ისე დაუჩეჩქვეს ჩაქუჩით, რომ დანაყილ ხორცს დაუმსგავსეს. პუსანის ბანაკის № 6 სექტორის სამხედრო ტყვე ტყვიით მოკლეს იმის გამო, რომ იგი ფეხისადგილში წავიდა ისე, რომ უფროსებისათვის არ „მოუხსენებია". პუსანის № 7 ბანაკის ერთ სამხედრო ტყვეს მცველებმა თვალი ამოთხარეს. ეს მოხდა სრულიად უსაბაბოდ. ჭრილობები მიიღეს სხვა სამხედრო ტყვეებმაც, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს.

ამყარებენ რა ტერორს სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, ამერიკელები სამხედრო ტყვეთა ბანაკის თვითეულ სექტორში გზავნიან მთელ რიგ ლისინმანელ და ჩანკაიშელ აგენტებს, რომლებიც თავს ასაღებენ „სამხედრო ტყვეებად". ისინი ადგენენ „სექტორის სამხედრო პოლიციას" და ქმნიან „წამების ოთახებს". ბევრი სამხედრო ტყვე წამებით დახოცეს ამ „ოთახებში". მაგალითად, № 65 სექტორის ორი სამხედრო ტყვე ასეთ „წამების ოთახში" 1952 წლის აპრილში სიკვდილით დასაჯეს ელექტროსკამზე. № 63 სექტორში ექვსი სხვა სამხედრო ტყვე წამებით დახოცეს, ხოლო შემდეგ მათი გვამები სანაგვე ორმოებში გადაყარეს. ასე დახოცილი სამხედრო ტყვეები ამერიკელთა ცნობებში ჩვეულებრივად გამოყვანილი არიან როგორც „სამხედრო ტყვეების შეტაკებათა" მსხვერპლნი, როგორც „თვითმკვლელნი" (რომლებმაც „თავი ჩამოიხრჩეს") ან „გაქცევის ცდის დროს მოკლულნი". რაც უნდა უწოდონ ამერიკელებმა თავიანთ მხეცობას, ცხადია, რომ ისინი ვერ დაფარავენ ბოროტმოქმედებათა ფაქტებს.

ფხენიანი, 27 თებერვალი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი კო სონ სუნი პანმინჯონიდან იუწყება ახალ ფაქტებს, რომლებიც აშკარავებენ ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის" ფარულ მიზნებს. ამას წინათ, წერს კო სონ სუნი, ვესაუბრე სახალხო არმიის რამდენიმე ყოფილ მებრძოლს, რომლებიც წინათ კუნძულ კოჯედოს სამხედრო ტყვეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. ამ ტყვეების სახელებია ჯან ბო მანი, ჩა გინ სუ და სხვ. ეგრეთწოდებული „განთავისუფლების" შემდეგ ყველა ისინი ჩარიცხეს ლისინმანელთა „ეროვნული თავდაცვის" არმიაში. ამ ტყვეთა ნაამბობი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ამერიკელთა სამხედრო ტყვეების ბანაკები სიკვდილის ბანაკებია.

ამ ბანაკებში ყველა სამხედრო ტყვე კატორღელის მდგომარეობაშია. დილიდან გვიან საღამომდე მათ ასრულებინებენ აუტანელ, მომქანცველ სამუშაოს, ხშირად იყენებენ მტვირთავებად პუსანის ნავსადგურში ამერიკელთა გემებიდან იარაღის, საომარი და სამხედრო მასალების გადატვირთვაზე. ბანაკის მცველთაგან გამოყოფილი ზედამხედველები თვალყურს ადევნებენ არაქათგამოლეულ ადამიანთა მუშაობას და მათრახითა და ხელკეტით აჩქარებენ მათ. როგორც წესი, ამ ცემის შედეგად ყოველდღე იღუპება სულ ცოტა ერთი კაცი. კუნძულ კოჯედოზე 62-ე სექტორში მარტო სამ თვეს ყოფნის დროს ასე მხეცურად მოკლეს ასი სამხედრო ტყვე. საკმარისია რომელიმე ტყვემ თუნდაც ერთ წუთს მოითქვას სული, რომ მცველებმა გააშიშვლონ საბრალო, გადაასხან წყალი, ხოლო შემდეგ აწამონ ელექტროდენით. ტკბებიან რა ტყვის ტანჯვის ცქერით, ამერიკელი ბარბაროსები ხარხარებენ, იღებენ თავიანთ მსხვერპლთა აბუჩად აგდების ამ სცენის სურათს. ბანაკებში შინადაცვა მინდობილი აქვს ამერიკელთა აგენტურას, რომელიც გაერთიანებულია ეგრეთწოდებულ „ონ ელის" რაიონულ მცველ რაზმებად.

ტყვეებს აიძულებენ შევიდნენ სხვადასხვა რეაქციულ ორგანიზაციებში, როგორიც არის „დიდი კორეის ახალგაზრდობის საზოგადოება", „კომუნიზმის მოსპობისა და კორეის ხსნის საზოგადოება", „ანტიკომუნისტ სასიკვდილოდ თავგადადებულთა საზოგადოება" და სხვ.

1951 წლის 15 აგვისტოს, გვიამბობს ყოფილი სამხედრო ტყვე ჩა გინ სუ, კოჯედოზე ამერიკელმა მცველებმა მოაწყეს ტყვეების ხოცვა-ჟლეტა. ამ დღეს ამერიკელებმა გააფთრებით დაუშინეს ცეცხლი 61-65 სექტორებში მყოფ სამხედრო ტყვეებს. ტყვიამფრქვევით ტყვეების დახვრეტა სამ დღეს გაგრძელდა. მარტო 65-ე სექტორში, სადაც ჩა გინ სუ იმყოფებოდა, მოკლეს ორმოცი და დაჭრეს 70 სამხედრო ტყვე. სხვა სექტორებში კიდევ მეტი იყო მსხვერპლი. სულ ამ სისხლიანი ამბების დროს დაიხოცა და დაიჭრა ათასი კაცი. 500-მდე კაცი, რომელნიც ამ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ბანაკის ჰოსპიტლებში მიიყვანეს, იქ დაიხოცა მიღებული ჭრილობებისაგან.

1952 წლის აპრილიდან ბანაკის ადმინისტრაცია შეუდგა ტყვეთა იძულებით გაწვევას ლისინმანელთა არმიაში.

დეპუტატი

მოთხრობა

დილიდანვე საამოდ ბარდნიდა. საღამომდე ისეთი თოვლი დადო, რომ კაცს გარეთ გასვლა გაუჭირდებოდა.

პაპა ლევანი დღეს არც აპირებდა სადმე წასვლას. ხვალისთვის კი ყველაზე ადრე ადგომა ედო გულში. ხვალ ხომ არჩევნებია, ხმის მიცემას ვინ დაასწრებს! შვილიშვილი უნდა აირჩიოს სოფლის საბჭოს დეპუტატად! — ამაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს მოხუცისათვის.

მთის დაბაში ერთად ცხოვრობდნენ პაპა და მისი შვილიშვილი თეიმურაზი, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი და მთიელებში დაიწყო მუშაობა. მალე კარგი ექიმის სახელი მოიხვეჭა მზრუნველმა ჭაბუკმა. ხალხი ხედავდა მის ამაგს. როცა სოფლის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებდნენ, — დაბაში ერთხმად წამოაყენეს თეიმურაზის კანდიდატურა.

პაპას დათქმული აქვს, ხვალ ყველაზე ადრე მისცეს ხმა საყვარელ შვილიშვილს, რომლის გაზრდასა და დავაჟკაცებას დიდი ამაგი დასდო.

შაბათ საღამოს შინ იყო თეიმურაზი. პაპასთან ერთად ბუხარს მისჯდომოდა.

გარეთ თოვდა და თოვდა.

ორნაირად ბედნიერია ხვალინდელი დღე თეიმურაზისათვის. სამი წელია სოფლის მასწავლებელი ცაცო უყვარს. ხვალ უნდა იქორწინოს. ახალი ცხოვრება ახლებურად უნდა დაიწყოს მასთან ერთად. რა კარგ სიმღერას გადმოსცემენ რადიოთი! გული ლამის ამოფრინდეს საგულედან! ცაცოს სიყვარული ხომ ერთიორად უხარებდა გულს თეიმურაზს. ამ შუა ზამთარში გაზაფხულის სურნელსა გრძნობს თეიმურაზი, მის გულში ხომ ნამდვილი გაზაფხულია! ცაცო უდგა თვალწინ, ტანად და თვალად ლამაზი, ეშხითა და სიცოცხლით სავსე ქალწული.

პაპა ლევანი მხიარულად იყო. თეიმურაზს ბედნიერებაზე ეპაასებოდა. რამდენი კარგი გინახავთ, რამდენი კარგი გამოგივლიათ ცხოვრებაში, — ამბობდა იგი, — ხვალიდან კიდევ უფრო მეტ კარგს ნახავთ.

ამას თქმა არ უნდოდა, თეიმურაზი მთელი არსებით გრძნობდა, რომ ეს ასე იყო... პაპა კმაყოფილებით აბოლებდა ჩიბუხს. თამბაქოს კვამლი ბუხარში შედიოდა, ბუხრის კვამლთან ერთად მაღლა მიექანებოდა.

— ქარბუქი იქნება, გეყურება, თეიმურაზ! — მიაყურა პაპა ლევანმა.

ბუხარში მართლა გაისმა ქარის ზუზუნი.

ცოტა ხნის შემდეგ საგრძნობლად იმატა ქარმა. მალე ღმუილით მოაწყდა სახლის კარფანჯარას. ქარბუქმა დაიგუგუნა. ამ დროს საიდან იყო, საიდან არა — მგზავრი მიადგა სახლს და კარზე ბრახუნი ატეხა. პაპამ გახედა სტუმარს. ცხვრის ტყავში და თოვლში გახვეული ყმაწვილი შემოიყვანა. სული ძლივს მოითქვა ბიჭმა. ალბათ მორბოდა. უზომოდ დაღლილიყო.

— რა გინდა, ბიჭო, საიდან მოდიხარ? — ჰკითხა მოხუცმა. ბიჭს რაღაცის თქმა უნდოდა, ჩქარობდა კიდეც, რომ ეთქვა და ვერ ამბობდა.

— ძია თეიმურაზ, — ამოთქვა როგორც იქნა, — ამბაკო გვიკვდება, ძია თეიმურაზ, უშველე რამე... მწყემსებმა გამომგზავნეს!..

წელში გაიმართა თეიმურაზი.

— უნდა წავიდე, — თქვა და წამს დაფაცურდა, საველე ჩემოდანი მოიმზადა.

მწყემსების სადგომი ხუთ-ექვს კილომეტრზე იყო დაბიდან. ვაჟკაცობა იყო ამ ქარბუქში გარეთ გასვლა! მერე როგორ დაქროლა ამ ტიალმა!.. არ შეიბრალებს გარეთ გასულ კაციშვილს, მოგუდავს, მოახრჩობს გამოჩენისთანავე.

კაცთა მტერი ავგული ქარბუქი ბობოქრობდა მთაში.

პაპას ენა დაება. ვერა გააწყო რა. სიტყვა ვერ დასძრა ხედ ქცეულმა. მან კარგად იცოდა რა გზა ჰქონდა გასავლელი თეიმურაზს. ჭიუხებში ადვილი არ იყო გავლა ამ საშინელ დარში. ბუხართან ჩაცუცქულ ბიჭს მიუბრუნდა და ნახევარხმით ჰკითხა:

— ბიჭო, ძალიან არის ავად?

— ჰო, ძალიან... პაპა ლევან, სულთმობრძავი დავტოვე. არ ვიცი, მიუსწრებს თუ არა... — ზლუქუნით უპასუხა ბიჭმა. მას სითბო ეამა, ლამის ბუხარში შეძვრა.

— კარგად იყავით, — თეიმურაზის ამ სიტყვებმა გამოარკვიეს მოხუცი. კარამდე მიაცილა ვაჟკაცი. თეიმურაზი ისე გაქრა, ისე მოიტაცა ქარმა, როგორც შემოდგომის ფოთოლი.

* * *

ის ღამე თეთრად გატეხა პაპამ. ბიჭს ბუხართან ხალიჩაზე ეძინა. ღამის პირველის მერე რადიო აღარ მუშაობდა. ქარბუქის ღმუილი გაისმოდა, კარ-ფანჯრის ჭრიალი, ბუხარში ჩამოჭრილი ქარის ზუზუნი.

რა მოხდა. რა დამემართა, ეს რა განგების წყრომა ჩამოვარდა ამ ზეიმის დღეს ჩემს ოჯახში, — დარდიანად ფიქრობდა ლევანი. — ვინ იცის ცოცხალი გადარჩება თუ არა თეიმურაზი! — ვინ იცის! ვინ იცის, ახლა ცაცო სიზმარში თეიმურაზს ხედავს, თავის სანაქებო, ხალხის საყვარელ თეიმურაზს...

რა გაღიმებს, რა გამხიარულებს, ცაცო! თეიმურაზი იქნებ კლდეშია გადაჩეხილი, ან სადმე გაუგუდავს ქარს! ადამიანისადმი სიყვარულმა გასწირა იგი.

ელდანაკრავივით წამოვარდა პაპა ლევანი. ფიქრში კარგა ძალი დრო გასულიყო.

* * *

ოდნავ-ღა ზუზუნებდა ქარი. იმდენად უძლური იყო გათენებისას, რომ თოვლის ფიფქს ძლივს ერეოდა.

ჯერ კიდევ ბნელოდა. პაპა ხმის მისაცემად წავიდა. მეზობლის სახლს რომ ჩაუარა, აივანზე ქალიშვილს მოჰკრა თვალი. ეს ცაცო იყო. როგორ არ უნდოდა მასთან შეხვედრა! სულ არ უფიქრია, რომ ამ ხუთ საათზე აივანზე გამოვიდოდა. ალბათ თეიმურაზთან შეხვედრა აქვს დათქმული და გულმა ვეღარ მოუთმინა.

ცაცომ დაინახა პაპა ლევანი და აივანი ჩამოირბინა.

— თეიმურაზი სად არის, პაპა ლევან?

— თეიმურაზი წუხელ მეცხვარეებთან წავიდა. წამო, ჩვენ მივცეთ ხმა. ალბათ მალე ჩამოვა.

— რას ამბობ?! — გული ლამის გაუსკდა ქალიშვილს. — იმ ქარბუქში როგორ წავიდა...

— დარდი ნუ გაქვს! ვაჟკაცია...

მოხუცმა ძლივს დაამშვიდა გოგონა, დაუყვავა, მოეფერა და საარჩევნო უბნისაკენ წაიყვანა.

საარჩევნო უბანი ფერადი ნათურებით და წითელი დროშებით იყო მორთული. დაბის მეფანდურეთა ანსამბლი სტალინზე მღეროდა. ხმის მისაცემად მოსული ხალხი ცდილობდა ერთმანეთისათვის გაესწრო. ყველას სახეზე საზეიმო ელფერი ედო, ყველა სიხარულს შეეპყრო.

პაპამ, როცა ბიულეტენები აიღო, ერთ-ერთ მათგანზე წაიკითხა შვილიშვილის სახელი და მამის სახელი, გვარს აღარ დახედა... კაბინაში არ შესულა. ქაღალდები მოკეცა, ყუთში ჩაუშვა და სწრაფად აპირებდა გამოსვლას, რომ რაიონული გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა შეაჩერა.

ცაცოსაც გადაუღეს სურათი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზი მოიკითხა. ...არ ვიცი, მივიდა თუ არ მივიდა მეცხვარეებთანო, მოკლედ უამბო ლევანმა. ხმა კი მივეცი, მაგრამ... — დაუმატა მან.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შეატყო, რომ საქმე სერიოზული იყო, მაშინვე ორი ჭაბუკი მოიხმო, დაავალა ახლავ წასულიყვნენ მეცხვარეებთან.

ამომრჩევლებს ელვის სისწრაფით მოედოთ თავიანთი დეპუტატობის კანდიდატის თავგადების ამბავი.

იმ ორ ჭაბუკს მალე ათიოდე კაცი კიდევ მიემატა. ქალიშვილები ჭაბუკებს აჰყვნენ. ახალგაზრდები ხმას აძლევდნენ და მეცხვარეთა ფერმისაკენ მიმავალთ ემატებოდნენ.

ლევანი და ცაცოც მიაბიჯებდნენ იქითკენ. მუხლამდე თოვლს მიარღვევდნენ და მიდიოდნენ შეუსვენებლივ.

უღრანებში თითქოს კიდევ იდგა ქარბუქის ღმუილი.

პირქუში იყო ბუნება, ცივი იყო დათოვლილი მიდამო. თენდებოდა.

ხალხი მიდიოდა და მიდიოდა შეუსვენებლივ. მიდიოდნენ ხრამის პირზე... ცაცო მიჰკვროდა პაპას და ასე ერთად მიჰყვებოდნენ მუხლმაგარ ახალგაზრდობას.

მეცხვარეების სადგომთან ძაღლები აყეფდნენ. გომურის შესასვლელში კაცი გამოჩნდა.

მის დანახვაზე ლამის გულის ძარღვები ჩასწყდა ცაცოს. მწყემსის დანახვამ უფრო შეაშინა... რას ეტყოდა იგი...

ქალიშვილი მთელი ძალით გაექანა გომურისაკენ და მხოლოდ თეიმურაზის სახელი აღმოხდა.

— რა მოგივიდა, ქალავ! — გაიღიმა მთიელმა და გომურის კარი ფართოდ გააღო, — კაცი გადაგვირჩინა.

სარეცელთან იჯდა თეიმურაზი და ავადმყოფს დაჰყურებდა. უცებ მოიხედა და სახე გაუბრწყინდა.

— ცაცო, აქ რა გინდა?

— თეიმურაზ, ჩემო თეიმურაზ! — სიხარულით აქვითინდა ცაცო, — მარტო მე კი არა, შეხედე...

გომურში გახარებული პაპა შემოვიდა, მას ორიოდე ახალგაზრდა შემოჰყვა.

ავადმყოფმა უძლურად გადმოიხედა. მის თვალებში სიცოცხლე ბრწყინდებოდა, მილეული შუქი თანდათან ენთებოდა...

ცაცო უფრო მაგრად მიეკრა საყვარელ ადამიანს.

ამ დროს დაბიდან ამოსულმა ერთ-ერთმა ჭაბუკმა ყუთი და ბიულეტენები მიუტანა ავადმყოფს. ამბაკომ მადლიერი თვალებით შეხედა თეიმურაზს და მილეული ხმით თქვა:

— სიცოცხლე დამიბრუნა, სიცოცხლე მომცა... ხმას როგორ არ მივცემ, მაგ დალოცვილს!

— ძლივს მოაღწია, ნახევრად გაგუდული შემოვიყვანეთ გომურში, — ამბობდა ერთი მწყემსი თეიმურაზზე. — მაინც მოვიდა, იკურთხოს ამის მარჯვენა, კაცი ყოფილა... ადამიანი!

— წავიდეთ, ახლა კი შეიძლება წავიდეთ, — თქვა თეიმურაზმა და მწყემსებს დაემშვიდობა. ცაცოსთან და პაპასთან ერთად გარეთ გამოვიდა.

— თეიმურაზს გაუმარჯოს! — ერთხმად დაიძახეს გომურთან მოგროვილმა ახალგაზრდებმა და ხელში აიტაცეს ჭაბუკი.

მალე დაბისკენ მიდიოდნენ ბედნიერი ადამიანები. ლევანი ამაყად მიაბიჯებდა ჭაბუკებთან ერთად და ბანს აძლევდა სიმღერას, რომელიც ახლა ჭიუხებში გრიგალის ნაცვლად ჰქუხდა.

თ. გოგოლაძე.

«კომუნისტის» მიმომხილველის შენიშვნები

ვინ შექმნა გოლი ოტოკი

ეკლიანი მავთულით შემოღობილი ვრცელი ხრიოკი; ხრიოკზე ერთი-ორი ფარღალალა ბარაკი და ათასობით დაუძლურებული, ნაწამები და ხასიკვდილოდ განწირული ადამიანი; მავთულხლართების მიღმა პოლიციელთა პატრულები და სადარაჯო კოშკურებიდან ამ ადამიანებისაკენ მიმართული ტყვიამფრქვევები; დღიური რაციონი — თითო ჯამი ჭარხლის წყალწყალა შეჭამანდი და გამუდმებული წამება ელექტროდენით, სიკვდილის პირამდე ცემა რკინის წკეპლებით, ფრჩხილების გლეჯა მარწუხებით, სხეულის დაწვა გარვარნათურებით, დახვრეტა „გაქცევის ცდის დროს", მოკვლა წყურვილით... ყოველდღიურად ასობით გვამი გამოაქვთ ამ სიკვდილის ბანაკიდან, სადაც შიმშილისა და ავადმყოფობის გარდა ხალხს მუსრს ავლებს ჯალათთა გავარვარებული შანთები და ტყვიები. ზოგი ვეღარ იტანს ამ მხეცურ წამებას და ჭკუაზე იშლება ან თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

მკითხველი ალბათ იფიქრებს, რომ ჩვენ მაიდანეკზე — ჰიტლერელთა მხეცობის ამ შემაძრწუნებელ ჯურღმულზე გვაქვს ლაპარაკი. არა, ეს სიკვდილის ბანაკი მოწყობილია იუგოსლაველი ხალხის სულთამხუთავის ტიტოს ბრძანებით იუგოსლავიაში, კუნძულ გოლი ოტოკზე, სადაც საშინელ ტანჯვა-წამებაში დაიღუპნენ სლობოდონ დიმიტრევიჩი პეტროვიციდან, ბელგრადის ტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა ოლივერა მირიჩი, ძველი კომუნისტი ბლაჟო რაიჩევიჩი, ჩერნოგორიის ერთგული შვილი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირი სავო ზორიჩი და მრავალი სხვა იუგოსლაველი პატრიოტი.

ტიტომ საბოლოოდ ჩამოიხსნა ხალხის „უმანკო კეთილისმყოფელის" ნიღაბი და აშკარად დაადგა ბანდიტიზმისა და ინკვიზიტორობის სისხლიან გზას.

იუგოსლავიაში ფაშისტური ტერორი მძვინვარებს. სამასი ათასამდე პატრიოტი იტანჯება გოლი ოტოკში, გლავნიაჩაში, ვარეშში, ლონსკო პოლეში, კორჩულისა და ვისის კუნძულებზე მოწყობილ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მანიაკი ტიტო კვლავ აქიცინებს კუდს ოკეანესგაღმელი ბატონის წინაშე და მზად არის მის პირველივე ნიშანზე ამოხადოს სული ათეულ ათასობით ახალ, უდანაშაულო მსხვერპლს.

ნიშანდობლივია, რომ ამას წინათ ბრაზილიელი ხალხის ჯალათმა კაფე ფილემ თავის ბელგრადელ „კოლეგას" საჩუქრად დანა გამოუგზავნა და ამასთან იმედი გამოთქვა, რომ ტიტო „ღირსეულად დააფასებს მის საჩუქარს".

ტიტო დანით ხელში!

უკეთესად არც შეიძლება ამ ბელგრადელი ბანდიტის წარმოდგენა. ტიტო ცდილობს დააფასოს ბრაზილიელი თანამოაზრის საჩუქარი. იუგოსლავია-ავსტრიის საზღვრებზე წარმართა იმართება აღმაშფოთებელი სცენები: ტიტოელი ფაშისტები დოლის ბრახუნით და მისალმებებით ხვდებიან თავიანთ „უსახლკარო" ძმებს — უსტაშებსა და ჩეტნიკებს, ხალხის გამცემლებს, მკვლელებს ნედიჩისა და დრაჟე მიხაილოვიჩის ბანდებიდან, 1941 წელს ჰიტლერელებს რომ მიეყიდნენ და მხოლოდ გაქცევით უშველეს თავს ხალხის რისხვისა და დამსახურებული სასჯელისაგან საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერელთა ურდოების განადგურების მომენტში. ახლა ბატონებივით, თავისუფლად და დიდი პატივით ბრუნდებიან ისინი იუგოსლავიაში. ან რატომ არ მიიღებს ჯალათი ტიტო ამერიკელი და ინგლისელი „ბოსების" მიერ გამოკვებილ და ყაჩაღური „მოღვაწეობისათვის" გაწვრთნილ მზამზარეულ კადრებს? აბა რითღა გამოიხატება ძია სემის „დახმარება"?

ინტერვიუში იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან ტიტომ განაცხადა, რომ დაბრუნებულ უსტაშებსა და ჩეტნიკებს „წარსულში ჩადენილ დანაშაულებათათვის არ დაუწყებენ დევნას. ჩვენ ვიწვევთ მათ, რათა მონაწილეობა მიიღონ ახალი იუგოსლავიის ეკონომიკურ ცხოვრებასა და მშენებლობაში".

ასეთი გულღია მასპინძლობა ადვილად აიხსნება. იუგოსლავიაში შეუჩერებლივ იზრდება ხალხის მასების აღშფოთება ტიტოელთა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ტიტოელებს სულ უფრო და უფრო ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი. ტიტოს აღარ ჰყოფნის საპყრობილეთა ზედამხედველები და ჯალათები, პოლიციელები და პროვოკატორები.

ეს კი იმის დამადასტურებელია, რომ ტიტოს რეჟიმი მთლად დალპა, რომ ტიტოს ბანდას უძნელდება ხალხის რისხვის შეკავება, რომ მალე დადგება იმათი განკითხვის დღე, ვინც შექმნა გოლი ოტოკი — მაიდანეკი იუგოსლავიაში.

ა. კუსრაშვილი.

იტალიის ხელისუფალნი ხელს უშლიან «იტალია-სსრ კავშირის» საზოგადოების მოღვაწეობას

რომი, 27 თებერვალი. (საკდესი). საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ამხილებს ხელისუფალთა „უმაგალითო პოლიციურ ღონისძიებებს" ამ საზოგადოების მიმართ. როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, 1952 წლის ნოემბერში პოლიციამ აკრძალა, რომ ბოლონიაში გახსნილიყო საბჭოთა წიგნის გამოფენა და საბჭოთა კავშირში ბავშვთა ცხოვრების ამსახველი გამოფენა, რომლებიც მოეწყო იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აკრძალულ იქნა აგრეთვე კონფერენცია საბჭოთა კავშირის საარჩევნო სისტემის თემაზე, რომელიც უნდა გამართულიყო ქალაქ ფორლში მიმდინარე წლის 31 იანვარს.

„საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" სამდივნო, — ნათქვამია კომუნიკეში, — მოუწოდებს რესპუბლიკის დეპუტატებსა და სენატორებს მოითხოვონ იმ ძალადობისა და თვითნებობის მიზეზთა ახსნა-განმარტება, რომელთა ჩადენით არღვევენ კონსტიტუციას.

საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირის" სამდივნო ამხილებს იტალიის საზოგადოებრივი აზრის წინაშე ხალხთა შორის კულტურული გამოცდილების გაცვლის, უცხოეთის კულტურის გაცნობის ამ ხელყოფას; საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის ხელყოფას სწორედ იმ მომენტში, როცა ძლიერდება იმათი საზიზღარი მოქმედება, ვინც ცილისწამებას, სიცრუესა და უთანხმოებას თესავს იტალიელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის ჩვენი სამშობლოსა და მშვიდობის საქმის საზიანოდ".

საზეიმო სხდომა ულან-ბატორში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ხელშეკრულების მე-7 წლისთავის გამო

ულან-ბატორი, 27 თებერვალი. (საკდესი). მონღოლმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-7 წლისთავი. რესპუბლიკის დედაქალაქი ულან-ბატორი მორთულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ალმებით, შენობებზეა დიდი სტალინის პორტრეტები, პლაკატები და ლოზუნგები მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

საღამოს მუსიკალურ-დრამატულ თეატრში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ხელშეკრულების მე-7 წლისთავის გამო გაიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური და ულან-ბატორის საქალაქო კომიტეტების, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მონღოლეთის არმიის წარმომადგენლებთან ერთად. საზეიმო სხდომას ესწრებიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლები.

საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს დიდი სტალინის მეთაურობით და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ცედენბალის მეთაურობით.

მოხსენება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-7 წლისთავის შესახებ გააკეთა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლხამსურუნმა.

ტაშის გრიალში მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს მონღოლი და საბჭოთა ხალხების მარადიულ მეგობრობას, დღეგრძელობას უსურვებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მონღოლი ხალხის საუკეთესო მეგობარსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში პპოვმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. გაისმის შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!". ყველანი ფეხზე დგებიან და მხურვალე ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივისაცემად.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ადგილობრივი მნიშვნელობის თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტების ჯარების წინააღმდეგ.

საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ხამხინისა და კოვონის რაიონებში ჩამოაგდეს მტრის 7 თვითმფრინავი.

კორეელი პატრიოტების სიფხიზლე

ფხენიანი, 27 თებერვალი. (საკდესი). ემზადებიან რა კორეაში აგრესიის გაფართოებისათვის, ამერიკელი ინტერვენტები გაძლიერებით გზავნიან ჯაშუშებსა და დივერსანტებს სახალხო ჯარების ზურგში. კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა დიდ სიფხიზლესა და პატრიოტიზმს იჩენს, ამხილებს და იჭერს მტრებს. მტრის აგენტურასთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებისათვის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 2.031 კაცი, ხოლო 5.582 კაცმა პრემია მიიღო.

ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ

ბერლინი, 27 თებერვალი. (საკდესი). პროტესტის ახალმა აზვირთებამ იმის წინააღმდეგ, რომ ბონის მთავრობას განზრახული აქვს დაამტკიცოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი, უკანასკნელ დღეებში მთელი დასავლეთი გერმანია მოიცვა.

როგორც ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, ბრემენში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია იმის წინააღმდეგ, რომ ბონის მთავრობას განზრახული აქვს დაამტკიცოს სამხედრო ხელშეკრულებანი.

ბონის მთავრობის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი დოქტორი ჰაინემანი და ბუნდესტაგის დეპუტატი ბოდენშტაინერი მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას მოლაპარაკება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ხალხმა მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ხელშეკრულებათა საკითხის გადაწყვეტაში.

ჰამბურგის ახალგაზრდა მუშებმა ბონს გაგზავნეს დელეგაცია, რომელსაც დაავალეს მოსთხოვოს ბონის ბუნდესტაგის დეპუტატებს დაუყოვნებლივ უპასუხონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წინადადებებზე. ამ დელეგაციამ აგრეთვე პროტესტი უნდა განაცხადოს იმის წინააღმდეგ, რომ ბონის ხელისუფალთ განზრახული აქვთ არმიაში გაიწვიონ ახალგაზრდობა.

რომი, 27 თებერვალი. (საკდესი). 25 თებერვალს გაიმართა დეპუტატთა პალატის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის შესახებ ხელშეკრულების განმხილველი სპეციალური კომისიის მორიგი სხდომა.

კომუნისტმა დეპუტატმა ჯან კარლო პაიეტამ განაცხადა, რომ დისკუსია ამ ხელშეკრულების პირვანდელ ტექსტზე წარმოუდგენელია, რადგან დამატებითი ოქმები, რომლებიც საფრანგეთმა წარმოადგინა, ცვლიან ხელშეკრულების ფორმასა და შინაარსს. პაიეტამ აგრეთვე აღნიშნა, რომ „გაერთიანება" იქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ შესრულოს ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების დაჩქარების შესახებ, და იმისათვის, რომ უზრუნველყოს მისი გაბატონებული მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში.

○ ○ ○

საერთაშორისო სიონისტურმა ორგანიზაციამ „იუნაიტედ ჯუიშ ეპილმა" (ისრაელისათვის სახსრების შემგროვებელი ებრაელთა საერთაშორისო ორგანიზაცია) ბენ-გურიონს 300 მილიონი დოლარი გადასცა. ამ ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საავტომობილო წარმოების მაგნატი ჰენრი ფორდი, რომელმაც განაცხადა: რეჟიმი, „რომელიც ისრაელში შეიქმნა, მთელი მსოფლიოს დახმარების ღირსიაო". (გაზეთებიდან).

ისრაელის ბატი ამერიკულ საკენკზე

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური. ნორჩ მეყვავილეთა წრის წევრი პიონერები უვლიან ყვავილებს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ სანიტარულ ინსტიტუტში შედგა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სანიტარული დაწესებულებების მუშაკებმა.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები გ. ციციშვილი, ო. შალამბერიძე, ო. დედაბრიშვილი, ო. ხომერიკი და ა. გოგოლი, აგრეთვე წყალტუბოს სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმი ე. ხარაჯიშვილი, პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი ნ. ფიცხელაური.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა გ. ნათაძემ.

სანარმოო ბაზა სამშენებლო ორგანიზაციას

ქუთაისში შექმნილია სამშენებლო ორგანიზაცია „ქუთაისმშენი". სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქსახპროექტის" ინჟინრების ჯგუფის პროექტით „ქუთაისმშენისათვის" შედგენილია საწარმოო ბაზის პროექტი. მას ექნება სხვადასხვა სახის საწარმოები — ხისდამმუშავებელი, ბეტონის მზა ნაწარმის გამომშვები, მექანიკური, სამსხმელო და სხვა ქარხნები. უკვე დაიწყო ხისდამმუშავებელი ქარხნის მშენებლობა.

ავტობუსების მიღება

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მიიღო მრავალადგილიანი ავტობუსების ახალი პარტია — 10 ავტობუსი „ზის-155" და 3 ავტობუსი „გზა-651".

ახალი ავტობუსებიდან 10 გადაეცა თბილისის სამგზავრო სატრანსპორტო კანტორას, ხოლო 3 გაეგზავნა ქუთაისს.

მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ერთთვიურთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ჯგუფი უნგრელი მსახიობებისა, რომლებმაც მოსკოვში გამოსვლების შემდეგ 26 თებერვალს პირველი კონცერტი გამართეს საქართველოს დედაქალაქში.

უნგრელი სტუმრების გამოსვლამ თბილისელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტს დაესწრნენ მუსიკალური და თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები და სხვ.

კონცერტის დაწყების წინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივის სახელით უნგრელ მსახიობებს მიესალმა დოცენტი პ. ხუჭუა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ უნგრელ მსახიობთა დელეგაციის ხელმძღვანელის, უნგრეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს განყოფილების გამგის იშტვან ვიტანის გამოსვლას.

პირველ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს პიანისტმა ქალმა ხედი შნეიდერმა, მევიოლინე ქალმა აგნეშ ვადამ, მომღერლებმა შანდორ შვედმა და პაულა ტაკაჩმა.

საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ახალგაზრდა პიანისტი ხედი შნეიდერი პროფესიულად მომწიფებული, კარგი გემოვნებისა და დიდი ერუდიციის ხელოვანია. მენდელსონის „სერიოზული ვარიაციების" თავისუფლად შესრულება, ილინსკის „იავ-ნანას" პოეტურად გადმოცემა, ლევინის მოხდენილი „იუმორესკის", რახმანინოვის „პრელუდის" ორიგინალური გააზრებით შესრულება, დასასრულ, ლისტის მიერ როიალისთვის გადაღებული პაგანინის ეფექტიანი სავიოლინო ეტიუდი, რაც პიანისტმა სწრაფი ტემპით შეასრულა, — [illegible] ... ინა [illegible].

უნგრეთის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი ახალგაზრდა მევიოლინე აგნეშ ვადამ მსმენელს ხიბლავს ნაზი, მოხდენილი შესრულებით. მისი ვიოლინო ჩინებულად ჟღერს ხაჩატურიანის კოლორიტულ „სიმღერა-პოემაში", ვენიავსკის ელვარე „პოლონეზში" და ვირტუოზული ოსტატობით შესრულებულ ორ ხალხურ საცეკვაოში — ბარტოკის „რუმინულსა" და დეფალის „ესპანურში".

უნგრეთის სახალხო არტისტის, კოშუტის პრემიის ლაურეატის შანდორ შვედის მაღალი ოსტატობის დამახასიათებელია ლამაზი, რბილი ტემბრის ბარიტონი, კეთილშობილური გადმოცემა, ავტორის სტილის სწორი შეგრძნება. მომღერალმა განსაკუთრებით კარგად შეასრულა ქურმონის არია ვერდის ოპერა „ტრავიატადან" და „სულ რული" სახალხო კომპოზიტორის, უნგრული ეროვნული ოპერის ფუძემდებლის ფერენც ერკელის პატრიოტული ოპერიდან „ბანკ-ბანი".

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ბუდაპეშტის ოპერის სოლისტი პაულა ტაკაჩი. მას განსაცვიფრებელი სილამაზის, დიდი დიაპაზონის ლირიკულ-დრამატული სოპრანო აქვს. მომღერალმა ნამდვილი დრამატული აღმავლობითა და ტემპერამენტით შეასრულა სანტუცის არია მასკანის ოპერიდან „სოფლის პატიოსნება", ღრმა განწყობილებით გადმოგვცა ახალგაზრდა ჩიო-ჩიოსანის სევდიანი განცდები არიაში პუჩინის ოპერიდან. მშვენივრად იმღერა აგრეთვე ძნელი არია ვებერის ოპერიდან „ობერონი" და ლამაზი, მელოდიური უნგრული ხალხური სიმღერა.

ჩინებულად მიჰყავს როიალის პარტია პიანისტ იშტვან ხაიდუს.

თბილისის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა მოძმე უნგრელი ხალხის მუსიკალური ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენლებს.

ლ. მარკოზიშვილი.

კეთილმოწყობილი სანატორიუმი მეტალურგებს

კურორტ წყალტუბოში წელს დამთავრდება სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს სანატორიუმის ოთხსართულიანი შენობის აგება. სანატორიუმს ექნება 40.000 კუბური მეტრი მოცულობა; სანატორიუმში მოეწყობა ყოველგვარი სამკურნალო კაბინეტები, საკონცერტო დარბაზი, საკლუბო ოთახები, საბილიარდო, დღისით დასასვენებელი და კულტურული მომსახურების ოთახები.

შენობა მოპირკეთებულ იქნება ეკლარის ქვით და დამშვენდება ლამაზი ორნამენტებით. შენობის პროექტის ავტორია არქიტექტორი კ. კედია.

ახალი წიგნები

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უკანასკნელ ხანებში გამოსცა ბევრი ახალი წიგნი. ოსურ ენაზე გამოქვეყნდა ნ. გოგოლის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული, ა. გაიდარის ცნობილი ნაწარმოები „თემური და მისი რაზმი", ა. ტოლსტოის — „პური".

მწერალმა ვ. გოლოევმა გამოაქვეყნა მოთხრობების და ნარკვევების კრებული „ახალი მზე", ხოლო პოეტმა დ. ჯიოევმა — ახალი ლექსებისა და პოემების წიგნი.

პროფკავშირული მუშაკების სემინარი

ბოლნისი. (საკ. კორ.). საქართველოს პროფსაბჭომ ბოლნისში მოაწყო პროფკავშირების ძირეული ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა 10-დღიანი სემინარი წარმოებისაგან მოუწყვეტლად.

სემინარის მონაწილეებმა შეისწავლეს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, ტექნიკური უშიშროების, სოციალური უზრუნველყოფის, პროფკავშირულ ორგანიზაციებში საფინანსო მუშაობის ძირითადი საკითხები.

რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა

დღეს, 1 მარტს, დღის 2 საათზე რუსთავში გაიხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმში მოწყობილია გამოფენა, მიძღვნილი ისტორიის საბჭოთა პერიოდისა და რუსთავის წარსულისადმი.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

უოველდღე პროგრამის მთლიანად შეცვლა
დიდი ატრაქციონი
მხეცების პირველი რუსი მომთვინიერებელი
ნ. პ. გლადილშჩიკოვი.
დიდი საცირკო წარმოდგენა
ახლადჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კვირაობით
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 საათზე, II — 3 საათზე.
ბილეთები იყიდება საცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურად დასწრებისათვის. 16 წლამდე ასაკის ბავშვები საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

1. III	ზ. ფალიაშვილი — დაისი
3. III	ზ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი (ახალი დადგმა)

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამომცემლობა „კომუნისტს" ესაჭიროება მე-2 კლასის შოფერი საბარგო მანქანაზე სამუშაოდ. ლენინის ქ. № 14, III სართული.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — არსენა (დილას), ოთარაანთ ქვრივი (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი სააკაძე (საღამოს); გრიბოედოვის სახელობის — ღრმა დაზვერვა (დილას), სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება (საღამოს); სომხური დრამის — ქორ-ოღლი (აბონემენტი 2, დილას), საიათ-ნოვა — (საღამოს); მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი (დილა-საღამოს); მოზარდ მაყურებელთა ქართული — ლადო კეცხოველი (აბონემენტი 4, 12 ს.), მესამე კურსის სტუდენტი (აბონემენტი 19, 7 ს. და 30 წ.); მოზარდ მაყურებელთა რუსული — ძველი მეგობრები (11 და 6 ს.); თოჯინების — დათუნას ქოხი (II, 1 და 3 ს.); სანიტარული კულტურის — ჩვენი ახალგაზრდობა (დილას), სიცოცხლის ტყე (საღამოს).

საქართველოს რადიოგადაცემათა 2 მარტის პროგრამა

რადიოსადგურებით 1571 და 52,59 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით. 06.45 — სიმღერები მოსკოვზე; 07.30 — „პიონერთა დაფდაფი"; 09.20 — კომპოზიტორ მოგოლევის პარტიზანული სიუიტა; 12.00 — საუბარი; 12.20 — რუსული სიმფონიური მუსიკა; 17.15 — ნაწყვეტები კომპოზიტორ ვერსტოვსკის ოპერიდან; 18.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 19.15 — კონცერტი პიროგოვის შესრულებით. რადიოსადგურებით 1500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.30 — კამერული მუსიკა (თბილისის საქალაქო ქსელით); 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — საუბარი „საბჭოთა საზოგადოების კულტურული ზრდა კომუნიზმში გადასვლის პირობაა"; 22.25 — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომპოზიტორთა მუსიკა; 22.40 — ურჯუმელაშვილის მოთხრობა „თანატოლები"; 23.00 — ნაწყვეტები კომპოზიტორების მანსნესა და დელიბის ოპერებიდან; 00.05 — პოლონური მუსიკის კონცერტი.

მოქალაქე ცაცა მიხეილის ასულმა ქვრივამ, მცხოვრებმა ჯავახიშვილის ქ. № 9, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე სერგო გერასიმეს-ძე ბერიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ნაუმ ბესარიონის-ძე კარანაძის გარდაცვალებას.

ქ. თავიდაშვილი, ა. აფხაზავა, ქ. ქომეთიანი, ნ. წერეთელი, ს. მაგრაქველიძე, ც. ჯიაძე, ჯ. გალუსტოვა, ვ. სიმონიშვილი, ქ. მახარაძე, მ. დარსაველიძე, ო. დემეტრაშვილი, ს. ხარაზოვა, ო. პარასტაევა, თ. შარაშენიძე იუწყებიან სოლომონ გიორგის-ძე კვანჭილაშვილის გარდაცვალებას.

შვილიშვილი აკაკი, რძალი ნინო შვილებით მანანათი და ნათელათი ბლუაშვილები, დიანა მაჩაბელი იუწყებიან ეკატერინე კონსტანტინეს ასულ შველიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 1-III, 2 ს. ენგელსის ქ. № 34.

ბავშვთა პირველი საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სოფიო თავაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ზემოხეთში (ჩოხატაურის რაიონი).

შ. რადიანი, ს. ხუციშვილი, გ. კიკნაძე, ვ. ცისკარიძე, ა. მახარაძე, პ. კეკელიძე, ჯ. ჭუმბურიძე, ი. ბოცვაძე, ა. ჭელაია, ლ. მენაბდე იუწყებიან სოლომონ გიორგის-ძე კვანჭილაშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე ძიძუ, შვილი ლენა თევზაძე, სიძე ვლადიმერ თორდუა შვილებით იუწყებიან ათანასე სიმონის-ძე თევზაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-III ქ. ცხაკაიაში. გამოსვენება ბინიდან, ქუთაისის ქ. № 10.

დედა პოლინე, მეუღლე ნატაშა, შვილები ვერა, ვალია, ლიდა, ნადია, დები ქსენია, ეკატერინე, ალექსანდრა, მარო, ძმა ივანე, რძალი მარიამ ამნაიშვილები, ერისტო, სერგო თურნავები იუწყებიან მიხეილ ბესარიონის-ძე ამნაიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა შუხუთში (ლანჩხუთის რ.)

შვილები გიორგი, სიდონია, თამარ, ტასო, რძლები თამარ, ელენე, ეთერ, შვილიშვილები ნათელა, თეიმურაზ, უშანგი იუწყებიან რევაზ გაბრიელის-ძე ნათიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-III სოფელ მჭადიჯვარში (დუშეთის რაიონი).

მეუღლე მართა, შვილები ნინო, ნატო, სონა, ლევან, რძალი თამარ, დები ელენე, ანა, სიძეები ექვთიმე კიკალეიშვილი, ვახტანგ ჭუმბურიძე, შვილიშვილები გულიზარ, გოდერძი, თეიმურ, თამაზ, ასლან, გულქან იუწყებიან ალექსი ივანეს-ძე გუშარაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III თელოვანში (დუშეთის რაიონი).

რძალი ლეონინა, ძმისწულები დავით, ანა, გრიგოლ ანთაძეები, სიძე სიმონ ბოლქვაძე, რძლები ქსენია კალანდაძე, მამიკა მგალობლიშვილი, ცისანა, ამირან, ნანი, ზურაბ, მერაბ იუწყებიან ანტონ გაბრიელის-ძე ანთაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ჯურუყვეთში (ლანჩხუთის რაიონი).

გ. ჭანუყვაძე, ნ. მესხი, გ. აბულაძე, ი. გვერდწითელი, დ. ჯაბიძე, თ. ბადურაშვილი, თ. მგელაძე, ნ. ვასაძე, დ. ფანჩულიძე, შ. ნადირაშვილი იუწყებიან სოლომონ გიორგის-ძე კვანჭილაშვილის გარდაცვალებას.

ჯინჭარაძე, გურგენიძე, მანუკიანი, გოთხელიძე, კურბანიანი, მუმლაძე, კიწმარიშვილი, გრიგოლაშვილი, კირვალიძე, ართუთინოვი, გვეტრქოვა, სოგომონიანი, დადიდოვი იუწყებიან მიხეილ სოლომონის-ძე ბახტაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 1-III, 3 ს. საბჭოს ქ. № 137.

შვილები სერგო, ტრიფონ, ელენე, თამარ, რძლები ნ. ბახტაძე, ქ. დეკანოსიძე, მარო, ვერა, ქეთევან თევდორაძეები, სიძეები შ. ვეპრიძე, პ. გორგაძე, შვილიშვილები თენგიზ, ლილი, ზაირა იუწყებიან ათანასე სპირიდონის-ძე თევდორაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-III, 4 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება მესხიშვილის ქ. № 43.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00739